ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

ლეილა ჩხეტიანი

ისტორიული მეხსიერების გავლენა უნგრეთის პოლიტიკის ფორმირებაზე რუსეთ-უკრაინის ომში

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2023

აბსტრაქტი

2022 წლის თებერვალში რუსეთი დენაციფიკაციის მიზნით უკრაინაში შეიჭრა, რამაც კოლექტიური დასავლეთის უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. რუსეთის აგრესია დასავლური სამყაროს მიერ მკაცრად იქნა დაგმობილი და მას სანქციები დაუწესეს. იმის ფონზე, რომ დემოკრატიული დასავლეთი ერთხმად აკრიტიკებს რუსეთის ექსპანსიონიზმს, ნატოსა და ევროკავშირის წევრი უნგრეთი რუსეთისადმი ნაკლებად ხისტი, ხოლო ევროკავშირისა და უკრაინისადმი განსაკუთრებით მტრული რიტორიკით გამოირჩევა. ნაშრომის მიხედვით, რუსეთ-უკრაინის ომში უნგრეთის განსხვავებული პოლიტიკის ფორმირებაზე ისტორიული მეხსიერება ახდენს გავლენას, რაც კონსტრუქტივიზმის თეორიული სკოლით აიხსნება.

კვლევის მიზნის მისაღწევად ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, შემთხვევის შესწავლა და თვისებრივი კონტენ-ანალიზი. მიმდინარე კვლევის ინოვაციურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი უნგრეთის საგარეო პოლიტიკის ასახსნელად ისტორიულ მეხსიერებას იშველიებს.

საკვანძო ტერმინები: რუსეთ-უკრაინის ომი; უნგრეთი; ისტორიული მეხსიერება; კონსტრუქტივიზმი.

Abstract

In February 2022, Russia invaded Ukraine to denazify, putting the security of the collective West into question. Russia's aggression was strongly condemned by the Western world and economic sanctions were imposed against it. While the democratic West unanimously criticizes Russian expansionism, Hungary, a member of NATO and the European Union, stands out with less rigid rhetoric towards Russia, and particularly hostile rhetoric towards the European Union and Ukraine. According to the paper, historical memory influences the formation of Hungary's different policy in the Russia-Ukraine war, which is explained by the theoretical school of constructivism.

In order to achieve the research goal, qualitative research methods are used in the paper, namely case study and qualitative content analysis. The innovativeness of the research lies in the application of historical memory for an explanation of Hungary's foreign policy.

Key terms: Russia-Ukraine war; Hungary; Historical memory; Constructivism.

სარჩევი

შესავალი.....5

თავი I: ლიტერატურის მიმოხილვა.....9

თავი II: თეორიული ჩარჩო - კონსტრუქტივიზმი 15

თავი III: უნგრეთის პოლიტიკა რუსეთ-უკრაინის ომში 21

თავი IV: ისტორიული მიმოხილვა.....24

თავი V: "ფიდესის" მეხსიერების პოლიტიკა.....28

თავი VI: უნგრეთ-უკრაინის ურთიერთობები.....35

თავი VII: უნგრეთ-რუსეთის ურთიერთობები 42

თავი VIII: უნგრეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები.....47

თავი IX: ისტორიული მეხსიერების გავლენა უნგრეთის პოლიტიკაზე რუსეთ-უკრაინის ომში ..50

დასკვნა 54

გამოყენებული ლიტერატურა:.....56

შესავალი

2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებულმა სრულმასშტაბიანმა ომმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ევროპის უსაფრთხოება. ევროკავშირი თითქმის ერთხმად ემხრობა უკრაინის ბრძოლას დემოკრატიის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, რაც გამოიხატება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებსა და უკრაინისადმი გაწეულ ფინანსურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო დახმარებაში, რაც უკრაინისთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით დაგვირგვინდა. ევროპის ერთსულოვნებას განსხვავებული პოზიციით არღვევს უნგრეთი, რომელიც ომამდეც გამოირჩეოდა ევროკავშირის დღის წესრიგის უგულებელყოფით ვიქტორ ორბანის ხელისუფლებაში მოსვლით დაწყებული დემოკრატიული უკუსვლით.

უკრაინის ომის დაწყების შემდეგ უნგრეთის ხელისუფლებას მრავალი მცდელობა ჰქონდა ხელი შეეშალა უკრაინისთვის დახმარების გაწევაში, იქნებოდა ეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების კრიტიკა (Nattras, 2022), NATO-ს სამხედრო დახმარების საკუთარ ტერიტორიაზე გატარებაზე უარის თქმა (Bayer, 2022), რასაც ემატება ორბანის მუდმივი კრიტიკა უკრაინული მხარისა და პრეზიდენტ ზელენსკის მიმართ. 2022 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ორბანმა ზელენსკი თავის ოპონენტადაც კი მოიხსენია (Rimi, 2022).

უნგრეთი ვერ ახერხებს უკრაინის საწინააღმდეგოდ ევროკავშირის პოლიტიკის შემობრუნებას, თანაც უერთდება რუსეთისთვის დაწესებული სანქციების უმეტესობას, თუმცა დამოკიდებულება, რომელიც გამოვლინდა ომის დროს, ადასტურებს უნგრეთის ხელისუფლების მტრულ განწყობას უკრაინის მიმართ. როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთის დამპყრობლურმა პოლიტიკამ ეჭვქვეშ დააყენა ევროპის უსაფრთხოება, მათ შორის პოტენციური საფრთხე ემუქრება უნგრეთსაც, რომელსაც უკრაინის დამარცხების შემთხვევაში საკუთრივ გაუმეზობლდება ექსპანსიონისტური რუსეთი. უნგრეთი ასევე ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრიცაა და რეგიონში არსებული არასტაბილურობა ნატოს რომელიმე წევრ ქვეყანაზე თავდასხმის შემთხვევაში მასზეც იქონიებს გავლენას. ამასთან, უნგრეთის მეზობლად პრორუსული

მარიონეტული სახელმწიფოს გაჩენა უნგრეთის უსაფრთხოებისთვისაც გამოწვევა იქნება და როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, ამგვარი პოლიტიკით უნგრეთი "საკუთარ თავს ფეხებში ესვრის" (Krekó & Szicherle, 2018). სწორედ ამიტომ საინტერესოა შესწავლილი იქნას თუ რა აიძულებს უნგრეთის ხელისუფლებას თვალი დახუჭოს რუსეთისგან მომავალ საფრთხეზე და მხარი არ დაუჭიროს მეზობელ უკრაინას.

არსებული კვლევები რუსეთ-უკრაინის ომში უნგრეთის ნეგატიურ პათოსს უკრაინისადმი და რუსეთისადმი გამოხატულ სიმპათიებს უმეტესად ორბანისა და პუტინის იდეოლოგიური სიახლოვით ხსნიან. თუმცა ნაშრომის მიზანია, ისტორიულ მეხსიერებაზე დაფუძნებული არგუმენტებით ახსნას უნგრეთის პოზიცია.

ნაშრომის საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება - რა გავლენას ახდენს უნგრეთის ისტორიული მეხსიერება უნგრეთის პოლიტიკის ფორმირებაზე რუსეთ-უკრაინის ომში. ვინაიდან, რუსეთ-უკრაინის ომი ახლაც მიმდინარეობს, სასურველია კვლევის გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევა, სწორედ ამიტომ აღნიშნულ კვლევის ჩამკეტი წერტილი ომის 1 წლის თავი, 2023 წლის 24 თებერვალია.

კვლევაში გამოყოფილი დამოუკიდებელი ცვლადი უნგრეთის ისტორიული მეხსიერებაა, რომელიც თავის მხრივ გავლენას ადენს დამოკიდებულ ცვლადზე, ამ შემთხვევაში უნგრეთის პოლიტიკაზე რუსეთ-უკრაინის ომში; დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის არსებული კორელაციის გასაანალიზებლად შემდეგი შუალედური ცვლადები იქნება გამოყოფილი: კონფრონტაცია ევროკავშირთან; რეჟიმის სიახლოვე რუსეთთან; ტერიტორიული კომპლექსი უკრაინასთან. შესაბამისად ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად შეიძლება ფორმულირდეს: უნგრეთის ისტორიული მეხსიერება განაპირობებს თანამედროვე უნგრეთის კონფრონტაციას ევროკავშირთან, რეჟიმის სიახლოვეს რუსეთთან და ტერიტორიულ კომპლექსებს უკრაინისადმი, რაც საბოლოოდ აყალიბებს უნგრეთის პოლიტიკას უკრაინისადმი რუსეთ-უკრაინის ომში.

ორბანის უნგრეთის, როგორც ევროპის "Troublemaker"-ის შესახებ (Végh, 2016) მრავალი კვლევა ტარდება. აღნიშნული ნაშრომი კი აკადემიას ახალ ხედვას მატებს, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომში უნგრეთის მიერ საერთო ევროპული სულისკვეთებიდან გადახვევას ისტორიული მეხსიერების დახმარებით ხსნის.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

ნაშრომი ამხსნელობითი ხასიათისაა და ვინაიდან იგი უნგრეთის ისტორიულ მეხსიერებას შეისწავლის, თვისებრივი კვლევის დიზაინს ატარებს. ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ შემთხვევის შესწავლა (Case study) და თვისებრივი კონტენტ ანალიზი. კვლევის პროცესში დამუშავებული იქნება საკვლევ თემაზე არსებული აკადემიური ლიტერატურა. ნაშრომში განხილულია უნგრეთის ისტორიული მეხსიერება, რომელიც გამოკვლეული იქნება ხელისუფლების მიერ ისტორიულ მეხსიერებასთან დაკავშირებული ნარატივებისა და დისკურსის (ოფიციალური დოკუმენტები, პოლიტიკური რეფორმები და ხელშეკრულებები, უმაღლეს პირთა ოფიციალური განცხადებები) ანალიზით. ნარატივებისა და დისკურსის კვლევისას გამოყენებული იქნება თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, კერძოდ, შესწავლილი იქნება უნგრეთის მმართველი პარტიის "ფიდესის" უმაღლესი პირების, განსაკუთრებით კი პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის საჯარო განცხადებები, გამოსვლები და ინტერვიუები. კონტენ-ანალიზისას აქცენტი გაკეთდება საკვანძო სიტყვებსა და კონცეფციებზე. კერძოდ, გამოკვლეული იქნება რამდენად ხშირად და რა კონტექსტში იყენებდნენ პოლიტიკოსები შემდეგ ტერმინებს: „ტრანსკარპატია", „ავტონომია", „ტრიანონის ხელშეკრულება", "უნგრეთის ერთიანობა" უკრაინის კონტექსტში, ასევე „სუვერენიტეტი", "სუვერენიტეტის შემცირება", "სუვერენიტეტისთვის ბრძოლა", "ბრიუსელი", "ელიტისტური ევროკავშირი (ბრიუსელი), "ბიუროკრატიული ევროკავშირი (ბრიუსელი)" ევროკავშირის კონტექსტში და ბოლოს „რუსეთი", "პუტინის რეჟიმი", "კრემლი" და მათდამი გამოხატული სიმპათიები ტერიტორიული მონაპოვრის კონტექსტში.

საკვანძო ტერმინების განმარტება

ნაშრომში დამოუკიდებელ ცვლადად გამოყენებულია უნგრეთის *ისტორიული მეხსიერება*. კლიმენკოსა და სიდის განმარტებით, ისტორიული მეხსიერება, ასევე ცნობილი როგორც კოლექტიური მეხსიერება საზოგადოებაში გაზიარებული

მოგონებებია წარსულის შესახებ, იგი წარსულის სუბიექტურად აღქმული სურათია, რომელიც ხშირად გამოყენებულია პოლიტიკური აქტორების მიერ აწმყოში არსებული სოციალური და ისტორიული აუცილებლობების საპასუხოდ (Klymenko & Siddi, 2020, p. 2).

თავი I: ლიტერატურის მიმოხილვა

მიმდინარე თავში განხილულია საკვლევ თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ნაშრომები.

ილდიკო ბარნას სტატია "უნგრეთის დანაწევრებული ისტორიული მეხსიერება" ("Hungary's Fragmented Historical Memory") უკანასკნელ საუკუნეებში უნგრეთის ისტორიული მეხსიერების ჩამოყალიბებას შეისწავლის. ავტორის მიხედვით, უნგრეთის ისტორიული მეხსიერება ორგანულად ვერ განვითარდა (Barna, 2021, p. 2). უნგრეთი ჯერ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ნაწილი იყო, სადაც იგი ნახევრად-ავტონომიას ფლობდა. იმპერიის დაშლის შემდეგ იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, თუმცა ტერიტორიების დიდი ნაწილის დაკარგვის ისტორიულმა ტრავმამ ხელი შეუშალა უნგრეთის პოლიტიკურ განვითარებას. მსოფლიო ომის დრამატული მოვლენების გააზრება კი სრულად ვერ მოხერხდა (Barna, 2021, p. 3). ტრიანონის შედეგად ტერიტორიების ⅔-ის დაკარგვის შემდეგ კი "უნგრელის" იდენტობა და "უნგრული ერის" კონცეფცია რთულად ყალიბდებოდა (Barna, 2021, p. 3). ომებს შორის პერიოდში უნგრეთის მთავარი მიზანი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება იყო, რამაც ხელისუფლებას ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობისკენაც კი უბიძგა (Barna, 2021, p. 3). ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უნგრეთში საბჭოთა სოციალისტური მმართველობა დამყარდა, რამაც არათუ ტრიანონის ხელშეკრულებას, არამედ მთლიანად ეროვნულობის საკითხს დაადო ტაბუ (Barna, 2021, p. 3). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სიღრმისეულად არ შესწავლილა უნგრული საზოგადოების დანაკარგები და პოლიტიკური ნაბიჯები, შესაბამისად საზოგადოებამ ვერ შეძლო ვერც დაკარგულთა გამოტირება და ვერც მოვლენათა ანალიზი (Barna, 2021, p. 4). უნგრულ კოლექტიურ მეხსიერებაში კვლავაც არ მომხდარა წარსულის, მათ შორის ჰოლოკოსტისა და ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობის გადააზრება (Barna, 2021, p. 4). ავტორის თქმით, ტრიანონის ტრავმამ თავი 21-ე საუკუნეში იჩინა, რომელიც რადიკალური მემარჯვენე იდეოლოგიისთვის იქცა ნაციონალიზმისა და ეროვნულობის სიმბოლოდ. აღნიშნული იდეოლოგიის მატარებელმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა ხელახლა გააცოცხლეს წარსულის, კერძოდ კი ტრიანონის სენტიმენტები (Barna, 2021, p. 4). აღნიშნული ნაშრომი

მნიშვნელოვან როლს თამაშობს კვლევის ფარგლებში, ვინაიდან ხსნის ნაშრომის დამოუკიდებელი ცვლადის - უნგრეთის ისტორიული მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესს.

უნგრეთის ისტორიული მეხსიერების შესახებ კიდევ ერთი გამორჩეული ნაშრომია ანდრეა პეტოს "არალიბერალური მეხსიერების პოლიტიკა უნგრეთში" ("The Illiberal Memory Politics in Hungary"), რომელშიც განხილულია "ფიდესის" მმართველობის პერიოდში გატარებული მეხსიერების პოლიტიკა. ნაშრომი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უნგრეთის ისტორიული მეხსიერება ჯერ კიდევ არ არის გადააზრებული, რისი დასტურიცაა მაგალითად 2021 წელს ადმირალ ჰორთის ქანდაკების გრანდიოზული გახსნა (Pető, 2022, p. 241). ჰორთი ნაცისტური გერმანიის მოკავშირე იყო და იგი 400 000-ზე მეტი უნგრელი ებრაელის დეპორტაციაზეა პასუხისმგებელი (Pető, 2022, p. 241). ავტორი ასევე ამტკიცებს, რომ "ფიდესის" პერიოდი ხასიათდება ისტორიული დისკურსის ხელახალი ფორმირებით, რაც უმეტესად აკადემიური ინსტიტუტების ცენტრალიზაციით ხასიათდება, ასევე მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული მოვლენების გახსენებასა და გადაფასებას, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი რაოდენობის თანხებიც გამოიყოფა (Pető, 2022, p. 242). ისტორიული მეხსიერების ხელახლა ფორმირების მცდელობაა ახალი ისტორიული ინსტიტუტების დაარსება, რომლებიც ხელისუფლებასთან არიან აფილირებული და ნაკლები აკადემიური სანდოობით გამოირჩევიან (Pető, 2022, p. 243). მათ შორის ისტორიის სახელმძღვანელოც ხელისუფლების დაკვეთით იქნა შედგენილი. პეტო აჯამებს, რომ არალიბერალური მეხსიერების პოლიტიკა ავტორიტარული რეჟიმებისთვისაა დამახასიათებელი, რითაც ისინი ისტორიის დელეგიტიმაციას, დისკრედიტაციას და მის ხელახლა კონსტრუირებას ახდენენ. ავტორის თქმით, უნგრეთის ისტორიული მეხსიერებას ახასიათებს საკუთარი თავის ვიქტიმიზაცია, ხოლო ნაცისტურ, შემდგომ კი საბჭოთა ოკუპაციას "ორმაგი ოკუპაციით" მოიხსენიებს (Pető, 2022, p. 245). ნაშრომის მიხედვით, უნგრეთის ვიქტიმიზაციის პროცესში ნაცისტურ გერმანიასთან წარსული თანამშრომლობისა და სხვა ბრუტალური, მათ შორის ანტისემიტური ქმედებების გადაფარვა მოხდა. იქიდან გამომდინარე რომ ორბანის რეჟიმი ავტორიტარული მიდრეკილებებით ხასიათდება, პეტოს ეს ნაშრომის კვლევას დამატებით ღირებულებას მატებს, ვინაიდან ხაზს უსვამს

თუ როგორ ხდება ისტორიული მეხსიერების ინსტრუმენტალიზება პოლიტიკური ელიტების მიერ ავტორიტარული რეჟიმის პირობებში.

აღსანიშნავია, გაბორ გიანის წიგნი "ერი დაყოფილი ისტორიითა და მეხსიერებით: უნგრეთი მეოცე საუკუნეში და მის მიღმა" (" A Nation Divided by History and Memory: Hungary in the Twentieth Century and Beyond"), რომელიც აღწერს XX საუკუნის უნგრეთის ისტორიული იმიჯის ჩამოყალიბებასა და თანამედროვე მეხსიერებაში მის ასახვას. გიანის მიხედვით, პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში ე.წ. "ისტორიასთან დაბრუნება" ეროვნული ისტორიის ხელახალი აღმოჩენით ხასიათდება, რაც მასობრივი პოლიტიკური მხარდაჭერისა და ამომრჩეველთა ერთგულების მოპოვების აპრობირებული მეთოდია (Gyáni, 2021, p. 56). ავტორის თქმით, ისტორიული მეხსიერების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია და წარსულის ეროვნული იმიჯის ფორმირება უნგრეთის კონსერვატიული და მემარჯვენე პოლიტიკურ ძალებისთვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი ვიდრე ლიბერალური და სოციალისტური მთავრობებისთვის, რისი დასტურიცაა უნგრეთის მემარჯვენე პოპულისტური ხელისუფლება "ფიდესის" სახით (Gyáni, 2021, p. 56). გიანი ტრიანონის ხელშეკრულების უნგრულ მეხსიერებაში ასახვაზე ფოკუსირდება. მისი თქმით, ტრიანონის ხელშეკრულებამ ნეგატიური კონოტაცია შეიძინა ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში და ხელახლა გაცოცხლდა XXI საუკუნეში "ფიდესის" მმართველობის ხანაში. გიანის თქმით, ისტორიის ნაციონალისტურმა იმიჯმა, ტრიანონის მუდმივმა გახსენებამ ისტორია აკადემიური საზღვრებიდან გამოიყვანა და იგი ინსტიტუციად გადააქცია (Gyáni, 2021, p. 61). შესაბამისად, ისტორიას შეუძლია მყარი იდეოლოგიის როლი მოირგოს ერის, სახელმწიფოსა და ეროვნული თუ გეოპოლიტიკური ინტერესების ფორმირებაში (Gyáni, 2021, p. 10). ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი ტრიანონის სენტიმენტების გაცოცხლება თანამედროვე უნგრეთში. კერძოდ, ახსნილია ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, იქნება ეს უნგრეთის მიღმა მცხოვრები უნგრელებისთვის მოქალაქეობის მინიჭება, უნგრული უმცირესობების თანამშრომლობის თაობაზე დეკლარაცია თუ ტრიანონის ხსენების დღის ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადება. ასევე ნაშრომში აღწერილია კვლევითი ცენტრებისა და პრესის როლი ტრიანონის სინდრომის გამოღვიძებაში. აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვან კონტრიბუციას წარმოადგენს, ვინაიდან იგი იკვლევს თუ როგორ

ჩამოყალიბდა ტრიანონის ხელშეკრულება უნგრეთის ისტორიულ მეხსიერებაში და რა როლს თამაშობს თანამედროვე უნგრეთის პოლიტიკის ფორმირებაში.

ისტორიულ მეხსიერებასთან ერთად მნიშვნელოვანია განხილული იქნას წარსულში უნგრეთის საზღვრებში შემავალი ტრანსკარპატიის თაობაზე არსებული ლიტერატურაც. ისტვან ჩერნიშკოსა და ჩილა ფედინეჩის სტატია "დროსა და სივრცეს შორის: სასაათო სარტყლები, ენა და კულტურა ტრანსკარპატიაში" ("Time and Space in Between: Time Zones, Languages, and Cultures in Transcarpathia") შეეხება სასაათო სარტყელების კულტურულ-პოლიტიკურ მნიშვნელობას უნგრულ-უკრაინულ ურთიერთობებში. როგორც ცნობილია ტრანსკარპატიაში მოქმედებს ოფიციალური კიევის დრო (EET; UTC+2) და ამავე დროს არაოფიციალური ადგილობრივი დრო (CET; UTC+1) (Csernicsko & Fedinec, 2019, p. 7). ოფიციალურ და ადგილობრივ დროებს შორის განსხვავება ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოდის, როდესაც ტრანსკარპატია სსრკ-მა დაიპყრო ოფიციალური მოსკოვის დრო დამყარდა, თუმცა ადგილობრივები ინარჩუნებდნენ თავიან ლოკალურ, ცენტრალური ევროპის დროს, რაც სიმბოლურად წარმოაჩენდა რეგიონის კავშირს დასავლეთთან (Csernicsko & Fedinec, 2019, p. 12). კვლევის მიხედვით, ტრანსკარპატიის რეგიონში ოფიციალურ კიევის დროს სახელმწიფო დაწესებულებები განცხადებებსა და ფორმალურ აქტივობებში იყენებენ, არაფორმალური ადგილობრივი დრო კი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება (Csernicsko & Fedinec, 2019, p. 14). 2016 წლის კვლევის მიხედვით, ცენტრალური ევროპის არაოფიციალურ დროს უნგრული ეთნიკური მოსახლეობა უფრო ინტენსიურად იყენებს (78.7%) ვიდრე უკრაინული, რუსული ან რუთინული ეთნიკური ჯგუფები (Csernicsko & Fedinec, 2019, p. 17). ნაშრომში ასევე ხაზგასმულია რომ ტრანსკარპატიის უნგრული მოსახლეობა ინფორმაციას უმეტესად უნგრული რადიოდან და ტელევიზიებიდან იღებს, ხოლო ტრანსკარპატიის არაოფიციალური დრო უნგრეთის დროს ემთხვევა (Csernicsko & Fedinec, 2019, p. 18). აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი უნგრელები ცენტრალური ევროპის დროს მოიხსენიებენ არა როგორც "ბუდაპეშტის დრო", არამედ "ჩვენი, ადგილობრივი დრო" (Csernicsko & Fedinec, 2019, p. 18). აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კვლევაში, ვინაიდან ადასტურებს, რომ უნგრეთსა და მის საზღვრებს გარეთ, კერძოდ, უკრაინის ტრანსკარპატიაში მცხოვრებ უნგრელებს შორის მტკიცე კავშირი კვლავ

შენარჩუნებულია, რაც არა მხოლოდ პოლიტიკურ დისკურსში, არამედ ყოველდღიურობაშიც ვლინდება.

მნიშვნელოვანია ნაშრომში განხილული იქნას უნგრეთ-უკრაინის ურთიერთობებთან დაკავშირებული ლიტერატურა. კერძოდ, აღსანიშნავია ჩილა ფედინეჩის სტატია "უკრაინის ადგილი ევროპაში და უნგრეთ-უკრაინის ურთიერთობები ორი ათწლეულის განმავლობაში" ("Ukraine's Place in Europe and Two Decades of Hungarian–Ukrainian Relations"). ნაშრომი უკრაინისა და უნგრეთის ურთიერთობების დინამიკას აღწერს საბჭოთა კავშირის დაშლიდან 2012 წლამდე. მასში დეტალურადაა მიმოხილული ქვეყნების ბილატერალური ურთიერთობები განსხვავებულ ეპოქებში. ფედინეჩის მიხედვით, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უნგრეთისთვის მნიშვნელოვანი იყო უკრაინასთან ურთიერთობების გაუმჯობესება ტერიტორიული სიახლოვის, ეკონომიკური პოტენციალისა და უკრაინაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების დასაცავად (Fedinec, 2012, p. 74). სახელმწიფოებს შორის 1991 წელს დადებული ხელშეკრულებით უნგრეთმა საერთაშორისო საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ მას კონფლიქტი არ სურს და ესწრაფვის იქცეს მასტაბილიზებელ ძალად რეგიონში (Fedinec, 2012, p. 75). აღნიშნულ ნაშრომში განხილულია უნგრეთსა და უკრაინას შორის დადებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ასევე გარკვეული უთანხმოება ისტორიული მონუმენტების განახლებასა და უკრაინაში განათლების რეფორმის თაობაზე. როგორც ცნობილია, უნგრეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობები განსაკუთრებით 2010 წელს უნგრეთში ხელისუფლებაში "ფიდესის" ხელმეორედ მოსვლის შემდეგ გამწვავდა, თუმცა ნაშრომში აღწერილი ბილატერალური ურთიერთობები ხაზს უსვამს იმას, რომ ორ ქვეყანას შორის მანამდეც არსებობდა გარკვეული კითხვის ნიშნები და პოლიტიკური პრეტენზიები, თუმცა არა იმ ინტენსივობით როგორც "ფიდესის" მმართველობის პერიოდში. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა, რადგან იგი ადასტურებს, რომ უკრაინასა და უნგრეთს შორის ისტორიული მეხსიერებისა და უმცირესობათა უფლებების თაობაზე კამათი ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგია და არა მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის დღის წესრიგის ნაწილი.

ასევე მნიშვნელოვანია მიმოხილული იქნას უნგრეთ-რუსეთის ურთიერთობები ზსუზანა ვეგის ნაშრომით "უნგრეთის აღმოსავლეთის გახსნის პოლიტიკა რუსეთთან: კავშირები, რომლებიც იკვრება?" ("Hungary's "Eastern Opening" policy toward Russia: ties that bind?"). პუბლიკაცია ორბანის პერიოდში რუსეთსა და უნგრეთს შორის გაძლიერებულ ურთიერთობებს შეეხება. ნაშრომში ახსნილია "აღმოსავლეთის გახსნის პოლიტიკის" მნიშვნელობა და უნგრეთის პრაგმატისტული მიდგომა საგარეო პოლიტიკის წარმოების პროცესში. ვეგის მიხედვით, "ფიდესის" ხელისუფლებაში მოსვლამდეც არსებობდა ტენდენცია რუსეთთან დაახლოებისა, თუმცა ორბანის პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირები ქვეყნებს შორის. მაგალითად, რუსულ "გაზპრომთან" და "როზატომთან" დადებული ხელშეკრულებით უნგრეთის ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე განსაკუთრებით გაიზარდა (Végh, 2015, p. 48). ამასთან 2014 წელს ევროკავშირის მიერ ყირიმის ანექსიის საპასუხოდ დაწესებული სანქციების კრიტიკა უნგრეთის ხელისუფლების მხრიდან ზრდის ალბათობას იმისას, რომ უნგრეთი შესაძლოა ევროპაში რუსეთის "ტროას ცხენად" იქცეს (Végh, 2015, p. 48). გარდა ამისა, ვეგი თავის ნაშრომში ხაზს უსვამს იმასაც, რომ გარდა ეკონომიკური კავშირებისა, შეინიშნება იდეოლოგიური სიახლოვე პუტინისა და ორბანის რეჟიმებს შორის (Végh, 2015, p. 62). ნაშრომის დაწერის პერიოდში უნგრეთი ჯერ კიდევ ნახევრად კონსოლიდირებული დემოკრატიების სიას განეკუთვნებოდა, მას შემდეგ კი უნგრეთის დემოკრატიის ხარისხი კარდინალურად გაუარესდა, თუმცა მაშინაც შესამჩნევი იყო ვიქტორ ორბანის ინსპირირება კრემლის მიერ გატარებული არალიბერალური დემოკრატიით.

მიმდინარე თავში მიმოხილული ლიტერატურა მნიშვნელოვან ბაზისს ქმნის კვლევაში განვითარებული მსჯელობისათვის.

თავი II: თეორიული ჩარჩო - კონსტრუქტივიზმი

ნაშრომში დამოუკიდებელ ცვლადად გამოყოფილია უნგრეთის ისტორიული მეხსიერება. თეორიული სკოლა, რომელიც მეხსიერების კონცეფციის საგარეო პოლიტიკაში ინკორპორირებას ახდენს კონსტრუქტივიზმია. შესაბამისად მიმდინარე თავში მიმოხილული იქნება კონსტრუქტივიზმის ძირითადი პოსტულატები და ისტორიული მეხსიერების თეორიული საწყისები.

XX საუკუნის მიწურულს გავლენიანმა საერთაშორისო ურთიერთობის თეორიულმა სკოლებმა ცივი ომის მშვიდობიანი დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ დამაჯერებელი პროგნოზები ვერ გააკეთეს. ამ პერიოდში ასპარეზზე გამოდის ახალი თეორიული სკოლა კონსტრუქტივიზმის სახით, რომელსაც საერთაშორისო პოლიტიკაში არამატერიალური და აღქმებზე დაფუძნებული მსჯელობა შემოაქვს (Viotti & Kauppi, 2012, p. 277). ჯონ ჰობსონი გამოყოფს კონსტრუქტივიზმის 4 ძირითად პრინციპს: (1) იდეური ფაქტორების პირველობა; (2) იდენტობა სოციალური ინტერაქციით ყალიბდება; (3) მორალური და ნორმები განსაზღვრავს "შესაბამის" ქცევას; (4) ისტორიული ცვლილებების მნიშვნელობა (as cited in Langenbacher & Shain, 2010, p. 22). რეალიზმისგან განსხვავებით, იდენტობა და ინტერესები სახელმწიფოთა არა ობიექტური მოცემულობა, არამედ სოციალურად კონსტრუირებულია (Reus-Smit, 2005, p. 193). ამასთან კონსტრუქტივიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა სოციალური სტრუქტურაა, რომელიც გაჯერებულია იდეური ფაქტორებით, ნორმებით, წესებითა და კანონებით (Viotti & Kauppi, 2012, p. 277). კონსტრუქტივიზმის მიხედვით, ანალიზის დონეები შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფოები, ისე არა-სახელმწიფო აქტორები, ე.წ. აგენტები, რომლებიც გავლენას ახდენენ სტრუქტურაზე და პირიქით, ნიკოლას ონუფის თქმით, "ადამიანები ქმნიან საზოგადოებას და საზოგადოება ქმნის ადამიანებს" (as cited in Viotti & Kauppi, 2012, p. 291). საერთაშორისო პოლიტიკას ინტერსუბიექტურად ჩამოყალიბებული და ინსტიტუციონალიზებული წესები, ნორმები, რწმენები და ღირებულებები განსაზღვრავს (Viotti & Kauppi, 2012, p. 281). ინტერსუბიექტურობის ერთ-ერთი მაგალითია სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, რომელიც თავისთავადი მოცემულობა

კი არაა, არამედ მას თავად სახელმწიფოებმა მიანიჭეს მნიშვნელობა და იგი ერთობლივად გაიზიარეს (Viotti & Kauppi, 2012, p. 282).

90-იანებში კონსტრუქტივიზმის სამი ძირითადი მიმართულება გამოიყო, ესენია: სისტემური, ერთეული დონის და ჰოლისტური (Reus-Smit, 2005, p. 199). სისტემური კონსტრუქტივიზმი სახელმწიფოებს უნიტარულ აქტორებად აღიქვამს და საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს უგულებელყოფს (Reus-Smit, 2005, p. 199). სისტემური კონსტრუქტივიზმის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ზღუდავს და ავიწროებს იმ პროცესებს, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებაში აგენტების იდენტობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს (Reus-Smit, 2005, p. 199). ერთეული დონის კონსტრუქტივიზმი სისტემური კონსტრუქტივიზმის საპირისპიროა, საერთაშორისო გავლენების ნაცვლად, იგი აპელირებს შიდა პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებსზე, რომელიც სახელმწიფოთა იდენტობასა და ინტერესებს აყალიბებს (Reus-Smit, 2005, p. 200). ჰოლისტური კონსტრუქტივიზმი კი აერთიანებს როგორც სისტემურ, ისე შიდა პოლიტიკურ ცვლილებებს და აღიარებს მათ თანაბარ როლს სახელმწიფოთა იდენტობების ფორმირებაში (Reus-Smit, 2005, p. 201). მიმდინარე ნაშრომში გამოყენებული იქნება ჰოლისტური კონსტრუქტივიზმი, ვინაიდან მნიშვნელობა ენიჭება როგორც უნგრეთის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებს.

კონსტრუქტივიზმის უკეთ აღსაქმელად მნიშვნელოვანია განხილული იქნას კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ალექსანდერ ვენდტის ნაშრომი "ანარქია ისეთია, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ: ძალის პოლიტიკის სოციალური კონსტრუქცია". ნაშრომი შეეხება საერთაშორისო სისტემის ბუნებას, რომელშიც გაკრიტიკებულია ლიბერალიზმისა და რეალიზმის მიდგომები. ვენდტი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა და სახელმწიფოთა ე.წ. თვითდახმარებისა და ძალის პოლიტიკა თავად სახელმწიფოების მიერ, სოციალურად კონსტრუირებული კონცეფციებია (ვენდტი, 2004, გვ. 439). განსხვავებით ნეორეალიზმის მტკიცებებისგან, საერთაშორისო სისტემა თავისთავად ვერ განსაზღვრავს ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს საფრთხედ აღიქვამს თუ მეგობრად (ვენდტი, 2004, გვ. 441). მაგალითად, აშშ-ის სამხედრო ძალა განსხვავებული პროპორციის საფრთხედ აღიქმება კუბისა და

კანადის მიერ, ვინაიდან კანადასა და აშშ-ს შორის მეგობრული ურთიერთობაა, ხოლო კუბასა და აშშ-ს შორის კონფრონტაციული (ვენდტი, 2004, გვ. 441). ვენდტის მტკიცებით კოლექტიური მნიშვნელობები აყალიბებს იმ სტრუქტურებს, რომლებიც აგენტების ქცევას განსაზღვრავს (ვენდტი, 2004, გვ. 442).

კონსტრუქტივიზმის კიდევ ერთი წარმომადგენელია კრისტიან რეუს-სმიტი, რომლის მიხედვით კონსტრუქტივიზმი დაფუძნებულია იდეურ ფაქტორებზე, შესაბამისად ემპირიული კვლევისათვის იგი ინტერპრეტაციულ, დისკურსულ და ისტორიულ ანალიზის მოდელებს იყენებს (Reus-Smit, 2005, p. 195). საერთაშორისო ურთიერთობების სხვა სკოლებისგან განსხვავებით, კონსტრუქტივიზმში წინა პლანზე გადმოდის არამატერიალური კონცეფციები, რაც გავლენას ახდენს აქტორების იდენტობაზე და განაპირობებს მათ ქცევას (Reus-Smit, 2005, p. 197). რეუს-სმიტის მიხედვით, იდეური და ნორმატიული სტრუქტურები აქტორების იდენტობასა და ინტერესებს სამი ძირითადი მექანიზმით აყალიბებს, ესენია: წარმოსახვა, კომუნიკაცია და შეზღუდვა (Reus-Smit, 2005, 198). სწორედ არამატერიალური იდეური სტრუქტურების დახმარებით განსაზღვრავენ სახელმწიფოები თუ როგორ იმოქმედონ, რა სტრატეგიები დასახონ და როგორ მიაღწიონ მიზნებს (Reus-Smit, 2005, p. 198).

კონსტრუქტივიზმში გადამწყვეტი როლი ენიჭება აგენტის იდენტობას. იდენტობა საკუთარი თავის სპეციფიკური აღქმაა, რომელიც სხვებთან ინტერაქციის შედეგად ყალიბდება, კონსტრუქტივიზმის ტერმინოლოგიით კი, სტრუქტურა სოციალური ურთიერთობებით, გაზიარებული მნიშვნელობით, წესებითა და ნორმებით ყალიბდება (Viotti & Kauppi, 2012, p. 287). იდენტობა მეტ ნაკლებად სტაბილურია, თუმცა შესაძლებელია მისი შეცვლა. მაგალითად, ცივი ომის პერიოდში ანტისაბჭოურობა და ანტიკომუნისტობა აშშ-ის იდენტობის ნაწილი იყო, თუმცა XX საუკუნის მიწურულს მხარეებს შორის სოციალური ურთიერთობები შეიცვალა, რასაც საბჭოთა კავშირთან მიმართებით აშშ-ის იდენტობის ცვლილებაც მოჰყვა და გარდაიქმნა ამერიკული ინტერესებიცა და საფრთხის აღქმებიც (Viotti & Kauppi, 2012, p. 287). სწორედ იდენტობა განსაზღვრავს აღქმებს იმის თაობაზე თუ ვინაა მტერი და ვინ მოკავშირე (Viotti & Kauppi, 2012, p. 289). აგენტის იდენტობა ერთი მხრივ ვლინდება მის ქმედებებში, ე.წ. პრაქტიკებში, მეორე მხრივ კი პოლიტიკურ დისკურსში (Viotti & Kauppi, 2012, p. 287).

კონსტრუქტივიზმი ავითარებს შესაბამისობის ლოგიკას, რომლის მიხედვითაც აქტორების ქცევა მათი იდენტობიდან და აღქმებიდან გამომდინარეობს - ისინი იქცევიან ისე, როგორც მათ იდენტობას შეესაბამება (Viotti & Kauppi, 2012, p. 289). შესაბამისად, ინტერესები, საფრთხეების აღქმა სუბიექტურია, ხოლო მატერიალური მოტივები აპრიორულად გადამწყვეტი არ არის (Viotti & Kauppi, 2012, p. 290).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული მეხსიერება. კლიმენკოსა და სიდის განმარტებით, ისტორიული მეხსიერება, ასევე ცნობილი როგორც კოლექტიური მეხსიერება საზოგადოებაში გაზიარებული მოგონებებია წარსულის შესახებ, იგი წარსულის სუბიექტურად აღქმული სურათია, რომელიც ხშირად გამოყენებულია პოლიტიკური აქტორების მიერ აწმყოში არსებული სოციალური და ისტორიული აუცილებლობების საპასუხოდ (Klymenko & Siddi, 2020, p. 2). ვინაიდან ისტორიული მეხსიერება იდეებზე და სუბიექტურ აღქმებზეა დაფუძნებული, რაციონალურია ნაშრომში გამოყენებული იქნას კონსტრუქტივიზმის თეორიული სკოლა, რომელიც სცდება მატერიალურ უპირატესობებს, უსაფრთხოების პრიმატს და მნიშვნელობას ანიჭებს იდეებს, ღირებულებებს და აღქმებს. კონსტრუქტივიზმის მიხედვით სახელმწიფოთა ქცევა ყოველთვის სოციალურად კონსტრუირებული, ისტორიაზე დაფუძნებულია (Langenbacher & Shain, 2010, p. 19). ლანგენბახერისა და შეინის ნაშრომის მიხედვით, ისტორიული იგივე კოლექტიური მეხსიერება დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებაში, თუმცა აკადემიაში საგარეო პოლიტიკას ისტორიული მეხსიერების მეშვეობით იშვიათად ხსნიან, მიუხედავად იმისა, რომ არ მოიძებნება სახელმწიფო, რომელსაც მეხსიერებასთან და ტრავმულ წარსულთან დაკავშირებული წუხილები არ ჰქონდეს (Langenbacher & Shain, 2010, p. 1). გამონაკლისია კონსტრუქტივიზმი, რომელიც აღქმებსა და იდენტობაზეა დაფუძნებული და შესაბამისად აღიარებს ისტორიული მეხსიერების როლს პოლიტიკის წარმოებაში (Langenbacher & Shain, 2010, p. 2).

ერნს რენანის თქმით, ისტორიული კოლექტიური მეხსიერება ეროვნული სულის მნიშვნელოვანი ინგრედიენტია (as cited in Fukuoka, 2011, p. 142). ისტორიული მეხსიერება ასევე დიდ როლს თამაშობს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. კლიმენკოსა და სიდის თქმით, ლიდერები ხშირად იყენებენ ანალოგიებს წარსულთან, რათა გაამართლონ

თავიანთი ქმედებები აწმყოში (Klymenko & Siddi, 2020, p. 1). ისტორიული მეხსიერების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მრავალი ავტორი წერს. ლანგენბახერის მიხედვით, სახელმწიფოთა ისტორიული მეხსიერება განსაზღვრავს ვინ არის პასუხისმგებელი ისტორიულ ტრავმაზე, შესაბამისად განსაზღვრავს პოლიტიკურ დისკურსს და აყალიბებს საგარეო პოლიტიკას (Langenbacher & Shain, 2010, p. 19).

დუნკან ბელის თქმით, საზოგადოებაში კოლექტიური იდენტობა ორიენტირია, რომელიც საკუთარი თავის დამკვიდრებაში ეხმარება ინდივიდს (as cited in Langenbacher & Shain, 2010, p. 22). იდენტობის ჩამოყალიბებაში კი დიდ როლს თამაშობს მეხსიერება, რომელსაც თან ახლავს სოლიდარობის, ნდობისა და ემოციური კავშირების დამყარება წარსულთან (Langenbacher & Shain, 2010, p. 22). ენტონი სმიტის მიხედვით, ისტორიული მეხსიერება და ეროვნული იდენტობა შეუძლებელია განცალკევებულ იქნას, ეთნიკურობაც ისტორიული მიკუთვნებულობით ყალიბდება (Smith, 1986, p. 87). ამასთან, ისტორიული მეხსიერება არა მარტო ღირებულებებს განსაზღვრავს, არამედ აყალიბებს მტრებსა და მოკავშირეებსაც (Barna, 2021, p. 2).

თანამედროვეობაში აქტუალურია ისტორიული შეცდომების გამოსწორების მორალური კულტურა, რომელიც კონკრეტული ჯგუფებისა და ინდივიდების განცდილ ტრავმულ და უსამართლო გამოცდილებას აღიარებს (Klymenko & Siddi, 2020, p. 2). ისტორიული მეხსიერება პოლიტიკოსებისა და პუბლიკისთვის არის არა ისტორიის სტაგნაციური გაგება - რეალურად რა ხდებოდა, არამედ წარსულის მოშველიება თანამედროვეობაში მორალური მტკიცებებისა და პოლიტიკური ქმედებების გასამართლებლად (Klymenko & Siddi, 2020, p. 2). ჯეფრი ალექსანდერის კულტურული ტრავმის კონცეფციის მიხედვით, ტრავმას არა ინდივიდი, არამედ საზოგადოება ინახავს და ეს ტრავმა გავლენას ახდენს ჯგუფის კოლექტიურ მეხსიერებასა და იდენტობაზე, რაც აყალიბებს ჯგუფურ იდენტობას, განსაზღვრავს თუ ვინ არის "ჩვენ" (as cited in Barna, 2021, p. 3).

კლიმენკოსა და სიდის მიხედვით, ისტორიული მეხსიერებით საგარეო პოლიტიკის წარმოებისას ხდება ა) ისტორიული ანალოგიების გამოყენება, ბ) ისტორიული ნარატივის აგება, გ) მემორიალური სანახაობების შექმნა, დ) მარგინალიზაცია და წარსულის დავიწყება, ე) ისტორიული მეხსიერების სეკურიტიზაცია (Klymenko & Siddi, 2020, p. 3).

ნაშრომის მომდევნო ნაწილებში განხილული იქნება თუ როგორ ჩამოყალიბდა უნგრეთის ისტორიული მეხსიერება და რა გავლენას ახდენს იგი საგარეო პოლიტიკის წარმოებაში.

თავი III: უნგრეთის პოლიტიკა რუსეთ-უკრაინის ომში

მიმდინარე თავში განხილულია უნგრეთის პოლიტიკა რუსეთ-უკრაინის ომში 2022 წლის 24 თებერვლიდან 2023 წლის 24 თებერვლამდე.

როგორც აღინიშნა რუსული აგრესიის საპასუხოდ დასავლურმა სახელმწიფოებმა და ევროკავშირმა რუსეთს სანქციები დაუწესეს. სანქციებს განსაკუთრებული წინააღმდეგობა შეხვდა უნგრეთის ხელისუფლების მხრიდან. ქვეყნის უმაღლესი პირების თქმით, სანქციები თავად უნგრეთსა და დასავლეთს აზიანებს (Orban, 2022, March 4). ორბანი ასევე ამტკიცებს, რომ ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები უძლური აღმოჩნდა და მან რუსეთი ვერ დაასუსტა, სამაგიეროდ სანქციები თავად ევროკავშირის ეკონომიკას ანადგურებს (Orban, 2022, September 8). 2022 წლის მაისში უნგრეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ იგი არ მიესალმება და ვეტოს დაადებს რუსულ გაზსა და ნავთობზე სანქციების დაწესებას (Simon, 2022). ასევე ევროკავშირის სანქციების მიუხედავად, უნგრეთმა კვლავ განაგრძო რუსული ენერგიის რუბლებში შესყიდვა (Simon, 2022). უნგრული მხარე აღიარებს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას და ამტკიცებს, რომ ამ ომის საფასური უნგრელებმა არ უნდა გადაიხადონ (Simon, 2022).

უნგრეთის ხელისუფლება სანქციებს ევროკავშირის დისკრედიტაციისთვისაც იყენებს. ორბანის თქმით, უშედეგო სანქციები არაკომპეტენტური და ბიუროკრატიული ბრიუსელის დამსახურებაა, რომელიც ხალხის ინტერესებისგან შორს დგას (Orban, 2023, January 22). უნგრეთის ხელისუფლების თქმით, სანქციებში მონაწილეობა მათთვის ეკონომიკური და ეროვნული ინტერესებისთვის დამაზიანებელია, თუმცა ევროპის ერთიანობისთვის იგი მზად არის შეუერთდეს ამ სანქციებს (Orban, 2022, May 17). აღნიშნული რიტორიკა ცხადყოფს, რომ უნგრეთი ეწინააღმდეგება ევროკავშირის სანქციების პოლიტიკას, მიაჩნია, რომ სანქციები თავად ევროკავშირს დააზიანებს და არა რუსეთს, თუმცა მაინც უერთდება სანქციებს, რაც იმის დასტურია, რომ უნგრეთში კრიტიკის მიუხედავად ევროკავშირს დიდი გავლენა აქვს და მნიშვნელოვან ფინანსურ-ეკონომიკურ სარგებელს იღებს მისგან, რაც განაპირობებს იმას, რომ უნგრეთი კვლავ რჩება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოდ და იძულებით მიჰყვება მისთვის არასასურველ საგარეო პოლიტიკას.

2022 წელს უნგრეთის საპარლამენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ გამარჯვების შემდეგ, ვიქტორ ორბანმა ომში მყოფი უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი საკუთარ ოპონენტად მოიხსენია, თუმცა არ გაუკრიტიკებია ვლადიმერ პუტინი მეზობელ უკრაინაში წამოწყებული ომისა და ჩადენილი სისასტიკის გამო (Orbán, 2022, April 3). როგორც აღინიშნა, უკრაინაში, კერძოდ ტრანსკარპატიაში დიდი რაოდენობის უნგრელი ცხოვრობს, რომელთანაც უნგრეთის ხელისუფლებას მტკიცე კავშირები აქვს. ომის მიმდინარეობის პერიოდში უნგრეთის ხელისუფლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები აღნიშნულ რეგიონთან დაკავშირებით შესაძლებელია ასე შეჯამდეს: ომამდე ტრანსკარპატიაში უნგრელთა მდგომარეობა მძიმე იყო, უკრაინის ხელისუფლება მათ უფლებებს უზღუდავდა, ასევე უკრაინის ხელისუფლება მხარს უჭერდა უნგრეთის მტრებს და ერეოდა მის შიდა საქმეებში, თუმცა ომის მიმდინარეობის პერიოდში აღნიშნულ თემებზე საუბარი უდროოა და უნგრეთი მაინც გაუწევს უკრაინას ჰუმანიტარული დახმარებას და მიიღებს მიგრანტებსაც (Orban, 2022, May 17). ასევე, "ფიდესის" რიტორიკის მიხედვით, უკრაინაში მიმდინარეობს ომი, სადაც უკრაინელები და რუსები იბრძვიან, თუმცა ამ ომის საფასური არ უნდა გადაიხადონ უნგრელებმა, ორბანის თქმით, "უკრაინელებისა და რუსების უროს ქვეშ არც ერთი უნგრელი არ უნდა მოექცეს" (Orban, 2022, March 16). მისივე თქმით, უნგრეთის უსაფრთხოების საკითხია ტრანსკარპატიაში მშვიდობის შენარჩუნება (Orban, 2022, March 16), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის ამბიციებსა და პრეტენზიებს აღნიშნული რეგიონისადმი.

როგორც აღინიშნა, უნგრეთმა გააკრიტიკა რუსული აგრესია და მხარეებს მშვიდობისკენ და დაუყოვნებლივი ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა (Orban, 2022, February 25). ორბანის თითქმის ყველა გამოსვლაში ნათქვამია, რომ უკრაინამ და რუსეთმა დაუყოვნებლივ ომი უნდა შეწყვიტონ და მოლაპარაკებები დაიწყონ (Orban, 2022, March 4). თუმცა რა შედეგებით ან ტერიტორიული გადანაწილებით დასრულდება ომი, ამაზე აქცენტს არ აკეთებს, ვინაიდან უნგრეთისთვის მხოლოდ ომის დასრულებას აქვს არსებითი მნიშვნელობა და არა უკრაინისთვის ტერიტორიების დაბრუნებას. ასევე მშვიდობის შესახებ მოწოდებებში ორბანი ამტკიცებს, რომ უკრაინამ უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი, ხოლო ევროპამ უნდა გაითვალისწინოს რუსეთის უსაფრთხოების შესახებ მოთხოვნები (Orban, 2022, March 4).

ორბანის რიტორიკაში შეიმჩნევა დასავლეთის, კერძოდ კი ნატოს კრიტიკა და მისი ბრალეულობა ომის დაწყებაში. ერთ-ერთი გამოსვლის დროს ორბანმა განაცხადა, რომ რუსეთი ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური სუპერ-ძალაა, რომელსაც ნატოს აღმოსავლეთ გაფართოებამ საფრთხე შეუქმნა (Orban, 2022, March 3). შესაბამისად, რუსეთი მოითხოვდა უკრაინას ნეიტრალიტეტი გამოეცხადებინა და ნატოს უკრაინა თავის რიგებში არ მიეღო, რაც არ განხორციელდა, რუსეთი კი უსაფრთხოების გარანტიების მოპოვებას ომით შეეცადა (Orban, 2022, March 3). ორბანი ამტკიცებს, რომ რუსეთის უსაფრთხოების სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ მას სურს მის ირგვლივ არსებობდეს ე.წ. ნეიტრალური ზონები და ვინაიდან უკრაინა რუსეთისთვის ერთ-ერთ ასეთ ზონად აღიქმება, დიპლომატიური მეთოდებით მიზნის მიუღწევლობის გამო რუსეთმა ომის მეთოდი აირჩია (Orban, 2022, March 3).

თავი IV: ისტორიული მიმოხილვა

უნგრეთის ისტორიული მეხსიერების ფორმირებაზე სრული სურათის შექმნის მიზნით მნიშვნელოვანია განხილული იქნას გასულ საუკუნეში მომხდარი ძირითადი ისტორიული მოვლენები.

1918 წელს პირველი მსოფლიო ომის დასრულებამ დიდი ტერიტორიული ცვლილებები გამოიწვია ევროპაში. 1920 წლის ტრიანონის ხელშეკრულებით დაიშალა მრავალეთნიკური ავსტრია-უნგრეთი. უნგრეთმა დაკარგა ტერიტორიების 2/3 ნაწილი. ომის შემდგომ ევროპაში კი აქტუალური გახდა ვუდრო უილსონის მიერ ინიცირებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რომელიც ეთნიკურ ჯგუფებს უფლებას ანიჭებდა თავად გადაეწყვიტათ თავიანთი სამართლებრივი, ეკონომიკური თუ პოლიტიკური სტატუსი. ახლად შექმნილი უნგრეთის ფართობი ბევრად მცირე იყო ვიდრე იმპერიის პერიოდში, ხოლო უნგრული ეთნიკური ჯგუფებით დასახლებული ტერიტორიები (დაახლოებით 2.7 მილიონი უნგრელი) უნგრეთის საზღვრებს მიღმა მეზობელი ქვეყნების იურისდიქციის ქვეშ მოექცა (Bárdi, 2011, p. 118). ამასთან უნგრეთმა დაკარგა წვდომა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ობიექტებზე და ტერიტორიულმა გადანაწილებამ ოჯახების დანაწევრება გამოიწვია (Barna, 2021, p. 3). უნგრული ეთნიკური ჯგუფები გაბნეულნი იყვნენ შემდეგ სახელმწიფოებში: ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, იტალია, რუმინეთი, პოლონეთი, იუგოსლავია (მაშინდელი სერბ-ხორვატ-სლოვენიური სამეფო) (Szarka, 2011, p. 45).

1918 წლის შემდეგ შექმნილ სახელმწიფოებში უნგრული ეთნიკური ჯგუფი უმცირესობას წარმოადგენდნენ, რომლებიც თავიანთი სურვილის მიუხედავად განსხვავებული ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ აღმოჩნდნენ. როგორც უნგრეთში, ისე მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ უმცირესობაში აქტუალური იყო ე.წ. საჩივრის ნარატივი (Bárdi et al., 2011, p. 3), ცნობილი ასევე როგორც „ტრიანონის სინდრომი“, რომელიც უნგრელთა დანაკარგებზე აპელირებდა. ტრიანონის გადაწყვეტილება გულისწყვეტას იწვევდა საზოგადოების სრულ უმრავლესობაში და არსებობდა განცდა იმისა, რომ ტრიანონის ხელშეკრულებამდე არსებული უნგრეთი ბევრად ძლიერი და დიდებული იყო, სუპერ ძალებმა კი უსამართლოდ და უთანასწოროდ დაანაწევრეს უნგრეთის ტერიტორია.

უნგრეთი მიისწრაფოდა 1918 წლამდელი სტატუს-ქვოს აღდგენისკენ, თუმცა ომის შემდგომ ჩამოყალიბებული სახელმწიფოები ეთნიკური ჰომოგენიზაციისკენ იყვნენ მიდრეკილნი და ხშირად უმცირესობები ვერ სარგებლობდნენ ავტონომიით, ემანსიპაციითა და თანასწორი უფლებებით (Bárdi, 2011, pp. 102–116).

უნგრეთის საზღვრებს მიღმა მცხოვრებ უნგრელებს არადომინანტურ პოლიტიკურ ძალად ყოფნამ უბიძგა „მასპინძელ სახელმწიფოებში“ (kin-state) შეენარჩუნებინათ საერთო ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობა, გაეძლიერებინათ რელიგიური, საგანმანათლებლო და კულტურული ინსტიტუტები და შეენარჩუნებინათ კავშირი „მშობელ“ უნგრეთთან (Bárdi et al., 2011, p. 3). აღსანიშნავია ისიც, რომ უნგრულ უმცირესობაში არ არსებობს ე.წ. ჰიბრიდიზაციის ფენომენი, როდესაც მასპინძელ სახელმწიფოში ეთნიკურ უმრავლესობასთან ასიმილაცია ხდება (Bárdi et al., 2011, p. 20).

როგორც აღინიშნა, ტრიანონის ხელშეკრულების შემდეგ უნგრელებით დასახლებული ტერიტორიები უნგრეთის მეზობელ სახელმწიფოებს გადაეცა. მიუხედავად ამისა, ნაშრომი ფოკუსირებულია მხოლოდ ზაკარპატიის რეგიონზე, იგივე ტრანსკარპატიაზე, რომელიც ერთ-ერთი ფაქტორია თანამედროვე უნგრეთის საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. ზაკარპატიის ოლქი, ცნობილი ასევე როგორც ტრანსკარპატია (Kárpátalja უნგრულად) მრავალჯერ გარდაიქმნა და სხვადასხვა სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა. ორ მსოფლიო ომს შორის ტრანსკარპატია ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში შედიოდა და მას მოიხსენიებდნენ როგორც „სუბკარპატია“ (Bárdi et al., 2011, p. 9).

მსოფლიო ომთა შორის პერიოდში უნგრეთი მიისწრაფოდა 1918 წლამდელი სტატუს-ქვო აღედგინა. ამის გამო მეორე მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე ღერძის სახელმწიფოებს, ნაცისტურ გერმანიასა და იტალიას დაუჭირა მხარი. მათი მხარდაჭერით უნგრეთმა 1938 წელს დაიკავა ჩეხოსლოვაკიის საზღვრებში შემავალი ტრანსკარპატიის რეგიონი, რომელიც ოფიციალურად 1938 წელს ვენის პირველი პრემიით (First Vienna award) გაფორმდა. თუმცა უნგრეთის ტერიტორიული მონაპოვრების შენარჩუნება რთული აღმოჩნდა და მეორე მსოფლიო ომში ღერძის ქვეყნების დამარცხების შემდეგ უნგრეთს კიდევ ერთხელ ჩამოერთვა ტერიტორიები. მის მიერ მოპოვებული სუბკარპატიის ოლქი 1944 წელს საბჭოთა კავშირის მიერ იქნა ოკუპირებული და 1946 წელს იგი ოფიციალურად საბჭოთა უკრაინის საზღვრებში მოექცა ტრანსკარპატიის

(Transcarpathian Oblast) ოლქის სახელწოდებით. თავად უნგრეთი იძულებით გაწევრიანდა ვარშავის ბლოკში.

საბჭოთა მმართველობის პერიოდში ნებისმიერი ტერიტორიული რევიზიონიზმის გამოვლინება ან ეთნიკურ უმცირესობებზე აპელირება სოციალიზმიდან გადახვევად და ვიწრო ეროვნულ მისწრაფებად აღიქმებოდა. შესაბამისად უნგრულ საზოგადოებაში ტერიტორიული სენტიმენტების გამოხატვა მიუღებელი იყო.

პერესტროიკის ხანასა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უნგრეთში უნგრული უმცირესობების თემა და ტერიტორიული რევიზიონიზმი კვლავ განახლდა. ცივი ომის დასრულების შემდეგ, სხვა პოსტ-სოციალისტური სახელმწიფოების მსგავსად, უნგრეთის ინტერესი ევროკავშირსა და NATO-ში ინტეგრირება იყო, რისთვისაც დემოკრატიული გარდაქმნები და უმცირესობათა უფლებები გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო. დამოუკიდებლობის მოპოვებისას საგარეო პოლიტიკის 3 ძირითადი მიზანი გამოიყო: ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრირება; უნგრეთის მეზობელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა და საზღვრის მიღმა მცხოვრები უნგრული უმცირესობების დაცვა და მათი დახმარება (Végh, 2015, p. 49). ევროინტეგრაციის პროცესში უნგრეთი ცდილობდა ნაკლებად გამხდარიყო რეგიონული სტაბილურობისთვის საფრთხე, შესაბამისად მისი წარსული ტერიტორიული რევიზიონიზმის მცდელობები უფრო მნიშვნელოვან მიზანს - ევროინტეგრაციას დაექვემდებარა (Bárdi, 2011, p. 458). უნგრეთი წარმატებით შეუერთდა ევროპულ ოჯახს, თუმცა სხვა სახელმწიფოებში მცხოვრები უნგრელების უფლებები, ე.წ. ეროვნული პოლიტიკა მუდმივად აქტუალური რჩებოდა. რაც შეეხება ტრანსკარპატიის ოლქს, იგი სსრკ-ის დაშლის შემდეგ უკრაინის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო 1991 წელს უნგრეთსა და უკრაინას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც იცავდა ეთნიკური უმცირესობების უფლებებს რეგიონში (Bárdi, 2011, p. 457).

უნგრული საზოგადოების პასუხისმგებლობა უნგრეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები უნგრელებისადმი კონსტიტუციაშიც კია გაწერილი (Szarka, 2011, p. 442). 1993 წელს მიღებული იქნა უმცირესობათა აქტი, რომელიც უზრუნველყოფდა ენობრივ და ინდივიდუალურ უფლებებს ეთნიკური უმცირესობებისათვის (Bárdi, 2011, p. 457). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უნგრეთი ირედენტიზმის (ტერიტორიების

ისტორიულ სამშობლოსთან დაბრუნება) ნაცვლად საზღვრის მიღმა უმცირესობათა ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებას მიმართავდა. დაარსდა სხვადასხვა ფონდები, რომლებიც უნგრული უმცირესობის კულტურულ განვითარებას უზრუნველყოფდა (მაგ. new handshake foundation, Illyés public foundation, Apáczai Public Foundation და სხვ) (Bárdi, 2011, p. 459).

უნგრეთის მემარცხენე ცენტრისტული ხელისუფლება XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ნაციონალისტურ რიტორიკას ნაკლებად იყენებდა და ემხრობოდა საზღვრის მიღმა მცხოვრები უნგრული უმცირესობების სოციალურ და კულტურულ განვითარებას. ეთნიკური უმცირესობების უნგრულ ერთან გაერთიანების იდეა კი უმეტესად მემარჯვენე ძალების პოზიციას წარმოადგენდა (Bárdi, 2011, p. 464).

თავი V: “ფიდესის” მეხსიერების პოლიტიკა

მიმდინარე თავში დეტალურადაა განხილული “ფიდესის” მმართველობის პერიოდში გატარებული მეხსიერების პოლიტიკა.

2010 წელს უნგრეთის ხელისუფლებაში ვიქტორ ორბანის მეთაურობით პარტია “ფიდესი” (Fidesz) მოვიდა. Fidesz-ის მმართველობის ხანაში იწყება უნგრული ინსტიტუტების ავტორიტარიზაცია და რღვევა, უმცირესობების უფლებების, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, ტრადიციულ-პოპულისტურ ღირებულებებზე აპელირება, ასევე გაძლიერდა ევროსკეპტიციზმი და ევროკავშირის, როგორც ბიუროკრატიული ელიტისადმი ანტაგონიზმი. ასევე შეინიშნება ურთიერთობების დაახლოება რუსეთთან და კონფრონტაციული პოლიტიკა მეზობელ სახელმწიფოებთან, კერძოდ უკრაინასთან. ვიქტორ ორბანის მმართველობის პერიოდში შეიცვალა მიდგომა უნგრელი უმცირესობებისადმი, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც უნგრეთის საზღვრებს მიღმა მცხოვრებ უნგრელებს დამოუკიდებელ გაერთიანებებად აღიქვამდა და ხელს უწყობდა მხოლოდ მათ სოციალურ და კულტურულ განვითარებას, ორბანის მმართველობის ხანაში აქტუალური ხდება ირედენტიზმი და ცოცხლდება ტრიანონის სინდრომი. 2011 წელს ბრიუსელში ორბანის ინიციატივით ინსტალირებულ “ისტორიული დროის ხაზის” აღსანიშნავ ხალიჩაზე სხვა სიმბოლოებთან ერთად გამოსახული იყო 1848 წლის ევროპის რუკა, როდესაც უნგრეთი ჰაბსბურგებს აუჯანყდა (BBC, 2011). ჯერ კიდევ 2011 წელს გაჩნდა მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ორბანის უნგრეთში ტრიანონის ხელშეკრულების ტრავმა კვლავ აქტუალური იყო. 2020 წელს ვიქტორ ორბანმა საკუთარ Facebook გვერდზე ტრიანონამდელი “დიადი უნგრეთის” რუკა გამოაქვეყნა (Holroyd, 2020). რუკაზე უნგრეთის ის ისტორიული ტერიტორიები იყო დატანილი, რომელიც დღეს მეზობელი სახელმწიფოების შემადგენლობაშია (Holroyd, 2020). გარდა ამისა, 2022 წელს უნგრეთ-საბერძნეთის ფეხბურთის მატჩის დროს ორბანი შარფით წარსდგა, რომელზეც ასევე “დიადი უნგრეთის” ტრიანონამდელი ტერიტორიული რუკა იყო დატანილი (Toomey, 2022).

ლანგენბახერის თქმით, ისტორიული მეხსიერებით ჩამოყალიბებული კოლექტიური იდენტობა მუდმივი არ არის და უმეტესად იგი პოლიტიკური ელიტების მიერ

გამოიყენება საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად და სასურველი პოლიტიკის საწარმოებლად (Langenbacher, 2010, p. 22). უკანასკნელ დეკადაში უნგრეთში მმართველი ელიტის მიერ ისტორიული დისკურსის ხელახალი ფორმირება ინსტიტუციური რეფორმებითაც დასტურდება. პატოს მიხედვით, ორბანის მეხსიერების პოლიტიკა სამი ძირითადი მახასიათებლით გამოირჩევა, ესენია: ისტორიის დამახინჯება, რევიზიონიზმი და პარადიგმების ცვლილება (Pető, 2022, p. 246). ავიზერ ტაკერის ისტორიული რევიზიონიზმის ერთ-ერთი სტრატეგია ღირებულებებზეა დაფუძნებული, როცა ისტორიული მოვლენები და პროცესების გადაფასება ახალი ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ხდება, რათა აღნიშნული ღირებულებები ჰეგემონური გახდეს (as cited in Pető, 2022, p. 246).

"ფიდესის" მმართველობის ხანაში განსაკუთრებით შეიზღუდა აკადემიური სივრცის ავტონომია (Pető, 2022, p. 242). მაგალითად, კვლევითი ინსტიტუტები სახელმწიფოს მიერ იმართება; ჯორჯ სოროსის მიერ დაარსებული ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი იძულებული გახდა ბუდაპეშტიდან ვენაში გადასულიყო, ხოლო დარჩენილი უნივერსიტეტების ავტონომია მნიშვნელოვნად შეიზღუდა (Pető, 2022, p. 242).

წინა პერიოდისგან განსხვავებით, "ფიდესის" მმართველობის პერიოდში შეინიშნება ისტორიული მოვლენების ინტენსიური გახსენება (commemoration), რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ტრიანონის ხელშეკრულების თარიღს (Pető, 2022, p. 242). კვლევის მიხედვით, წინა ხელისუფლებასთან შედარებით, დიდი რაოდენობის თანხები დაიხარჯა ისტორიული მონუმენტების აგების, კონფერენციების, ნაშრომების გამოქვეყნებისა და გამოფენების მოსაწყობად (Pető, 2022, p. 242). ასევე უნგრეთში დაარსდა რამდენიმე ისტორიული ინსტიტუტი მაგ. "Veritas Historical Research Institute", "Committee of Historical Remembrance", "Clio Institute" და სხვ. (Pető, 2022, p. 243). აღნიშნული ცენტრები ხელისუფლების დაქვემდებარებაშია და მათი დავალებაა უნგრეთის ისტორიის ნაციონალისტური იმიჯის შექმნა (Gyáni, 2021, p. 62). კვლევის მიხედვით, აღნიშნული ინსტიტუტები არ გამოირჩევიან აკადემიური სანდოობით, აქვეყნებენ ნაშრომებს სქოლიოების გარეშე და დაკომპლექტებულნი არიან არაკომპეტენტური პერსონალით (Pető, 2022, p. 243). აღსანიშნავია ისიც, რომ "ფიდესის" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შემცირდა უნგრეთის ისტორიის სახელმძღვანელოთა

რაოდენობა და სკოლებში დაშვებული იქნა სახელმწიფოს მიერ აღიარებული მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო (Pető, 2022, p. 243). ახალ სახელმძღვანელოში შეიმჩნევა XX საუკუნის უნგრეთის ისტორიის სუბიექტური ინტერპრეტაცია. სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრიანონის ხელშეკრულებას, რომლითაც უნგრეთმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ტერიტორიები დაკარგა. აღნიშნულ წიგნის მიხედვით, პირველ მსოფლიო ომში უნგრეთის დამარცხება თავისუფალი მასონების მიერ უნგრეთის წინააღმდეგ მართული ინტრიგებით იყო განპირობებული, რის შედეგადაც უნგრეთმა ტერიტორიების 75% დაკარგა (Pető, 2022, p. 244).

2009 წელს "ფიდესის" ხელშეწყობით დაარსდა ხანმოკლე ჟურნალი "დიადი უნგრეთი" (Nagy Magyarország), რომელიც დაკომპლექტებული იყო აკადემიური ხარისხის არმქონე ისტორიკოსებისაგან და უმეტესად წერდა XX საუკუნის ისტორიული მოვლენების თაობაზე "ერთადერთი ეროვნული სიმართლის" დადგენის მიზნით (Gyáni, 2021, p. 62). შემდგომში "დიადი უნგრეთის" რედაქტორი "ფიდესის" ერთ-ერთი წამყვანი პუბლიცისტი გახდა (Gyáni, 2021, p. 63). მთავრობის მიერ ასევე დაარსდა მუზეუმი "ტერორის სახლი", რომელიც "ფიდესის" მიერ აღიარებული ისტორიული ნარატივის განსხეულებაა (Radonić, 2020). გაბორ შეინის თქმით, მონუმენტები, მემორიალები, მუზეუმები, სახელმძღვანელოები, თეატრი, სახელმწიფო გამოსვლები, ყველა მათგანი თანამედროვე უნგრეთის ეროვნული ისტორიის ნაწილია და მანიპულირებადია ორბანის რეჟიმის მიერ მიმდინარე პოლიტიკის გასამართლებლად (Schein, 2023).

ანდრეა პეტო თანამედროვე უნგრეთს "არალიბერალურ პოლიპორულ სახელმწიფოს" (illiberal polypore state) უწოდებს, რომელიც დაფუძნებულია ე.წ. "მნემონიკურ უსაფრთხოებაზე", რაც გამოიხატება იმაში რომ ისტორია იდენტობას აყალიბებს და გეოპოლიტიკურ ფაქტორადაც კი იქცევა (Pető, 2022, p. 247). იგი ასევე ამბობს, რომ ისტორიული მეხსიერების გამოყენება, ისტორიაზე აპელირება რეალურად არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაფარად და სისტემის შესანარჩუნებლად ხდება (Pető, 2022, p. 247).

"Fidesz"-ის მიერ არც თუ ისე იშვიათად გადადგმულ სიმბოლურ ქმედებებში იგრძნობა თანამედროვე უნგრეთის ტერიტორიული კომპლექსები, მიდრეკილება ტერიტორიული

რევიზიონიზმისკენ და პოპულისტური რიტორიკა “დიადი უნგრეთის” აღდგენის თაობაზე.

ტრიანონის ხელშეკრულება უნგრულ მეხსიერებაში

თანამედროვე უნგრეთის ისტორიულ მეხსიერებაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა ტრიანონის ხელშეკრულებამ იქონია. მიმდინარე თავში მიმოხილულია თუ როგორ აისახა ტრიანონის ხელშეკრულება თანამედროვე უნგრეთის ისტორიულ მეხსიერებაში.
როგორც მრავალჯერ აღინიშნა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დადებული ტრიანონის ხელშეკრულებით უნგრეთმა ტერიტორიების ⅔ ნაწილი დაკარგა, რასაც დემოგრაფიული დანაკარგებიც ახლდა თან (დაახლოებით მოსახლეობის 64%) (Gyáni, 2021, p. 47). 3 მილიონზე მეტი ეთნიკური უნგრელი მეზობელი სახელმწიფოების საზღვრებს შიგნით მოექცა (Gyáni, 2021, p. 59). ქვეყნის ნელმა დეპოპულაციამ გააჩინა შიში უნგრული “ერის სიკვდილის” თაობაზე (Gyáni, 2021, p. 48).
ტრიანონი თანამედროვე უნგრეთის ისტორიის წყვეტის მეტაფორაა (Gyáni, 2021, p. 59). შესაბამისად, აღნიშნულმა მოვლენამ საუკუნის განმავლობაში მრავალჯერ იქონია ზეგავლენა პოლიტიკურ დისკურსზეც. მიკლოს ჰორთის მმართველობის ხანაში (1920-44) აქტუალური იყო ირედენტიზმის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა მეზობელი სახელმწიფოების საზღვრებში აღმოჩენილი ტერიტორიების უნგრეთთან შემოერთებას (Gyáni, 2021, p. 47). სწორედ ამ მოტივით დაიწყო უნგრეთის ხელისუფლებასა და ნაცისტურ გერმანიას შორის თანამშრომლობა (Barna, 2021, p. 3). ჰორთის ხელისუფლება რევანშისტულ იდეოლოგიას საგანმანათლებლო და კულტურული ინსტიტუტების მეშვეობით ავრცელებდა და მიზნად ისახავდა თავდაჯერებული ნაციონალისტური კლასის შექმნას, რომელიც დაეხმარებოდა წართმეული ტერიტორიების ხელახლა დაბრუნებაში (Bajomi et al., 2020, p. 10).
კომუნიზმის პერიოდში იდეოლოგიური დოგმატიკის გამო ტრიანონის ხელშეკრულება აქტუალობას კარგავს და შესაბამისად ვერც პოლიტიკურ დისკურსზე ახდენს გავლენას. სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ ისტორიული მეხსიერების გაცოცხლება, გადაფასება და ლუსტრაცია ინტენსიურად დაიწყო. თუმცა საკუთრივ ტრიანონის

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სენტიმენტების გაცოცხლება პარტია “ფიდესის” ექსკლუზიური ნაბიჯია (Gyáni, 2021, p. 60). კვლევის მიხედვით, 1990 წლიდან 2002 წლამდე შესწავლილი 12 000 საპარლამენტო გამოსვლიდან მხოლოდ 400 მათგანში ფიგურირებდა ტრიანონის ხელშეკრულება (Gyáni, 2021, p. 60).

გერგელი რომსიკის მიხედვით, უნგრეთის მემარჯვენე ძალები ტრიანონზე საუბრისას იყენებენ “ისტორიულ”, “პლებეურ ისტორიულ” თუ “ისტორიულ პლებეურ” კონტექსტს (as cited in Gyáni, 2021, p. 60). ტრიანონის ხელშეკრულება უნგრეთის ტრაგიკული წარსულის სიმბოლოა და მისი “ისტორიულ პლებეური” კონტექსტის არსი კი იმედია იმისა, რომ ტრიანონის შედეგად გამოწვეული ტრავმა ადრე თუ გვიან განიკურნება (Gyáni, 2021, p. 60). ისტორიული უსამართლობის განცდა საფუძველი გახდა იმისა, რომ ტრიანონის ხელშეკრულებას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა და მნიშვნელობა (Gyáni, 2021, p. 60). შესაბამისად ტრიანონი იქცა ერთგვარ გზამკვლევად ეროვნული პოლიტიკური სტრატეგიისთვის (Gyáni, 2021, p. 60).

“ფიდესის” ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ტრიანონის მეხსიერების გაცოცხლება არა მხოლოდ რიტორიკასა და გამოსვლებში, არამედ პოლიტიკურ ქმედებებში გადაიზარდა. 2010 წელს ხელისუფლებაში მოსულმა “ფიდესის” პარლამენტმა შემოიღო კანონი საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკურად უნგრელებისთვის (მაგიარებისთვის) მოქალაქეობის გაფართოების შესახებ, რაც აღნიშნულ ჯგუფებს ნებას აძლევდა უნგრეთის არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა (Gyáni, 2021, p. 60). მთავრობამ ასევე მიიღო დეკლარაცია “ეროვნული თანამშრომლობის პროკლამაცია” (Nemzeti Együttműködés Nyilatkozata), რომელიც მიზნად ისახავს უნგრეთის საზღვრებში და მის გარეთ მცხოვრები ეთნიკური უნგრელების ინტეგრაციას (Gyáni, 2021, p. 60). ორბანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა ხელისუფლების მიერ საზღვრებს მიღმა უნგრელებით დასახლებული რეგიონებისთვის ფინანსური და ეკონომიკური დახმარება. მაგალითად, ცნობილი გაბორ ბეთლენის ფონდი ყოველწლიურად მილიონობით ფორინტს ხარჯავს უნგრული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე, მათ შორის ზაკარპატიის ოლქზე (Iegoshyna, 2021). კვლევის მიხედვით, ბოლო 10 წელიწადში აღნიშნული ფონდის მიერ ზაკარპატიის ოლქზე

დაახლოებით 115 მილიონი ევრო გამოიყო, რომელიც ოლქის კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას ხმარდება (Iegoshyna, 2021).

აღსანიშნავია ისიც, რომ 4 ივნისი (1920 წლის 4 ივნისს დაიდო ტრიანონის ხელშეკრულება) 1848 წლის და 1956 წლის რევოლუციების მოსაგონარ თარიღებთან ერთად ეროვნული ხსენების დღედ გამოცხადდა (Gyáni, 2021, p. 60). აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქ ვარპალოტაში დაარსდა ტრიანონის მუზეუმი, 2007 წელს კი შეიქმნა ტრიანონის კვლევის ცენტრი, რომელსაც ე.წ. "ეროვნული ისტორიკოსი" ერნო რაფაი ხელმძღვანელობდა (Gyáni, 2021, p. 61). 2009 წელს დაარსდა ჟურნალი "ტრიანონ რივიუ" (Trianoni Szemle), რომელიც შეეხებოდა ტრიანონის პრობლემას (Gyáni, 2021, p. 61). აღნიშნული ჟურნალი, ამტკიცებდა რომ უნგრეთის შიდა მტრებმა ხელი შეუწყვეს პირველ მსოფლიო ომში უნგრეთის დამარცხებას, უნგრეთის ტერიტორიების დაკარგვას და იგივე მტრები დღეს ცდილობენ საზღვრების გადახედვის საკითხი უგულებელყონ (Gyáni, 2021, p. 61). რაფაი და სხვა ისტორიკოსები ეძებდნენ ე.წ. განტევების ვაცებს, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებოდნენ უნგრეთის ტრავმაზე (Gyáni, 2021, p. 62). "მტრის ხატად" იქცნენ ანტანტის სახელმწიფოები, ავსტრია-უნგრეთის შედეგად შექმნილი ახალი სახელმწიფოები და მათი ლიდერები და თავისუფალი მასონები (Gyáni, 2021, p. 62). მსგავს ნარატივს იმეორებს ისტორიის სხვა კვლევითი ცენტრები, რითაც საზრდოობს სწორედ "ფიდესის" ხელისუფლების რიტორიკა (Gyáni, 2021, p. 62).

ინსტიტუციური ცვლილებების გარდა უნგრეთში გავრცელებულია ეროვნული პოპ-კულტურა, მათ შორის ნაციონალისტური გზავნილების შემცველი მუსიკალური ჯგუფები, ფილმის ინდუსტრია და ასევე სხვადასხვა სოციალური აქტივობები, ისტორიული სამხედრო თამაშები და სხვ. (Gyáni, 2021, p. 63). გიანის თქმით, თანამედროვე უნგრეთში ისტორიული მეხსიერებისა და იდენტობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას საზოგადოების მხრიდან ცალსახა მხარდაჭერა მოჰყვა (Gyáni, 2021, p. 63). ტრიანონის ხელშეკრულებამდელი რეალობის აღდგენა და ტერიტორიების რევიზია წარმოუდგენელია თანამედროვე ევროპაში, შესაბამისად, ერთადერთი გზა უნგრული ერის ერთიანობისა ეროვნული ტრადიციების დაცვით კულტურულის ერთობის შენარჩუნებაა (Embassy of Ukraine in Hungary, 2012). ორბანი პირდაპირ არ ითხოვს 1920 წლამდელი ტერიტორიული სტატუს-ქვოს აღდგენას, თუმცა მისი პოლიტიკური

ნაბიჯები იმაზე მიანიშნებს, რომ მას გარკვეული პრეტენზიები გააჩნია წარსულში უნგრეთის იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიებისადმი. უნგრეთის რევიზიონისტულმა პოლიტიკამ ე.წ. "უნგრული კარტის თამაშმა" უნგრეთსა და მის უნგრული ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მეზობელ სახელმწიფოებს, მათ შორის უკრაინას შორის ურთიერთობები დაძაბა.

თავი VI: უნგრეთ-უკრაინის ურთიერთობები

რუსეთ-უკრაინის ომში უნგრეთის პოლიტიკის ასახსნელად მნიშვნელოვანია განხილული იქნას უნგრეთ-უკრაინის ურთიერთობები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უნგრეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც უკრაინის დამოუკიდებლობა ცნო და კიევში საელჩო გახსნა (Fedinec, 2012, p. 74). უნგრეთის იმდროინდელი ხელისუფლება აფასებდა უკრაინის დამოუკიდებლობასა და ევროპისკენ სწრაფვას, ასევე აღიარებდა მის საზღვრებს, მაგრამ ითხოვდა ტრანსკარპატიაში მცხოვრები უნგრელების კოლექტიური უფლებების სრულ დაცვასა და მათთვის ავტონომიის მინიჭებას (Fedinec, 2012, p. 74). 1991 წელს უკრაინასა და უნგრეთს შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის ხელშეკრულება დაიდო, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოთა საზღვრები ხელშეუხებელი იყო და იცავდა ქვეყნებში მცხოვრები რელიგიური, ლინგვისტურ და კულტურული უმცირესობების უფლებებს (Fedinec, 2012, p. 75). ხელშეკრულების მიხედვით, მხარეებს მომავალში ტერიტორიული პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ არ ექნებოდათ (Embassy of Ukraine in Hungary, 2012). აღნიშნულმა წესდებამ იმდროინდელ მემარჯვენე ნაციონალისტურ ჯგუფებში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რადგან ეს განცხადება გულისხმობდა, რომ უნგრეთი ვეღარასოდეს შეძლებდა ტრიანონამდელი ტერიტორიული მდგომარეობის აღდგენას (Embassy of Ukraine in Hungary, 2012). უნგრელებს ასევე სურდათ ტრანსკარპატიელი უნგრელებისთვის ავტონომიის მინიჭება, რაც არ დაკმაყოფილდა, თუმცა ხელშეკრულება მაინც შევიდა ძალაში (Fedinec, 2012, p. 75).

“ფიდესის” პირველი მმართველობის პერიოდში (1998-2002) მეტ აქტუალობას იძენს ტრანსკარპატიაში მცხოვრები უნგრელების უფლებები. ორბანის იმდროინდელი განცხადებით, უნგრეთსა და უკრაინას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ, რაც ტრანსკარპატიაში მცხოვრები უნგრელების დამსახურებაა (Fedinec, 2012, p. 75).

2001 წელს ორბანის ინიციატივით მიღებული იქნა “კანონი სტატუსის შესახებ”, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებში მცხოვრებ უნგრელებს განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდა, მაგალითად, 3 თვიანი სამუშაო უფლება უნგრეთში, სამედიცინო და საპენსიო დახმარება, სტიპენდიები უნგრულ უნივერსიტეტებში სწავლის შემთხვევაში, წლიური

ფინანსური დახმარება იმ ოჯახებისთვის, რომელთა 2-ზე მეტი შვილი უნგრულ სკოლაში სწავლობს და სხვ. (Tomiuc, 2001). რუმინეთმა და სლოვაკეთმა, სადაც ასევე უნგრული უმცირესობები ცხოვრობენ, აღნიშნული კანონი დაახასიათეს როგორც დისკრიმინაციული და ევროპული სტანდარტებისგან გადამცდარი (Tomiuc, 2001). მათგან განსხვავებით უკრაინის ხელისუფლებამ აღნიშნული კანონი პოზიტიურად შეაფასა და აღნიშნა, რომ მეზობელ სახელმწიფოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ თავიანთ "მასპინძელ სახელმწიფოსთან" (kin-state) (Tomiuc, 2001). სანაცვლოდ უნგრული მხარე უკრაინას დაჰპირდა, რომ იგი ხელს შეუწყობდა უკრაინის NATO-სთან და ევროკავშირთან დაახლოებას (Fedinec, 2012, p. 75). ამასთან, 2003 წელს უნგრეთმა რეზოლუცია მიიღო "ჰოლოდომორის" მოსაგონებლად, სადაც აღნიშნული მოვლენა მოხსენიებული იყო როგორც უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ მოწყობილი "გენოციდი" (Fedinec, 2012, p. 80).

უკრაინაში ორი უნგრული პარტია "უნგრული დემოკრატიული პარტია უკრაინაში" და "უნგრული პარტია" მოღვაწეობს. ასევე უნგრეთის ხელისუფლება მხარს უჭერს ტრანსკარპატიაში მცხოვრებ უნგრელებს თავიანთი წარმომადგენელი მუდმივად ჰყავდეთ საკანონმდებლო ორგანოში (Fedinec, 2012, p. 89).

უკრაინაში მიმდინარე ნარინჯისფერი რევოლუციის პერიოდში ორბანის ხელისუფლებამ ღიად დაუჭირა მხარი ვიქტორ იუშჩენკოს კანდიდატს (Fedinec, 2012, p. 81). სანაცვლოდ, იუშჩენკო უნგრეთის ხელისუფლებას ჰპირდებოდა მდინარე ტისას გასწვრივ უნგრელებით დასახლებული რაიონის აშენებას, სტალინიზმის პერიოდში დაღუპული უნგრელების რეაბილიტაციას და მათთვის ფინანსური კომპენსაციის გაწევას, უკრაინის პარლამენტში ეთნიკურ უმცირესობათა მუდმივ წარმომადგენლობას და ტრანსკარპატიაში რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის კულტურული ავტონომიას მინიჭებას (Fedinec, 2012, p. 81). შესაბამისად უნგრეთის ხელისუფლებად ინტენსიურ მონიტორინგს უწევდა უკრაინაში მიმდინარე არჩევნებს, ვინაიდან უკრაინის ხელისუფლებაში მიმდინარე ცვლილებები მკაფიოდ აისახება იქ მცხოვრებ უნგრელებზე, რასაც საკუთარ პასუხისმგებლობად მიიჩნევს უნგრეთის ხელისუფლება (Fedinec, 2012, p. 81).

უნგრეთ-უკრაინის ურთიერთობების განხილვისას საინტერესოა ისტორიული მეხსიერებისა და სიმბოლური პოლიტიკის შესწავლა. უკრაინაში მდებარე ვერეცკის გასასვლელი (Veretskyi Pass) კარპატიის მთებში მდებარე ტერიტორიაა, რომლის გავლითაც IX საუკუნეში უნგრული ტომები კარპატიაში პირველად გამოჩნდნენ (Magocsi, 2015, p. 41). აღნიშნულ თარიღს უნგრელები საუკუნეების განმავლობაში აღნიშნავდნენ, ხოლო თავად ვერეცკის გასასვლელი უნგრელებისა და მათი დამპყრობლების შეტაკების ადგილი იყო (Magocsi, 2015, p. 42). ავსტრია-უნგრეთის მმართველობის ხანაში ვერეცკის გასასვლელის ტერიტორიაზე ობელისკის დიდი მონუმენტი დაიდგა, რომელიც 1956 წელს უნგრეთის აჯანყების ჩახშობისას საბჭოელებმა გაანადგურეს (Magocsi, 2015, p. 42). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უნგრულმა სამოქალაქო საზოგადოებებმა უკრაინის ხელისუფლებისგან მიიღეს ნებართვა ვერეცკის გასასვლელთან კვლავ აეგოთ უნგრეთის ისტორიული მონუმენტი "უნგრელი ხალხების გადასვლა მომავალ უნგრეთში" (Magocsi, 2015, p. 42).

კიდევ ერთი ისტორიული მონუმენტი არწივის მსგავსი მითოლოგიური ფრინველის, ტურულის ქანდაკებაა, რომლიდანაც, ლეგენდის თანახმად, უნგრული ერი იშვა (Magocsi, 2015, p. 42). უნგრული მითოლოგიის მიხედვით, ტურული უნგრელების მფარველია და სწორედ მან მიუთითა უნგრულ ტომებს დასავლეთისკენ წასულიყვნენ (Magocsi, 2015, p. 42). ავსტრია-უნგრეთში ტურულის ქანდაკება მრავალ ადგილას იყო, თუმცა იმპერიის დაშლის შემდეგ მათი უმეტესობის დემონტაჟი მოხდა (Magocsi, 2015, p. 42). 2010 წელს ტრანსკარპატიაში, მუკაჩევოში ტურულის მონუმენტური სვეტი აღადგინეს, რაც რეგიონში უნგრელების ისტორიულ არსებობას უსვამს ხაზს (Magocsi, 2015, p. 42).

აღნიშნული სკულპტურების განახლებასა და აგებას ნეგატიური რეაქცია მოჰყვა უკრაინული ულტრანაციონალისტური ჯგუფებისგან, რომელიც უნგრულ მედიაში გაშუქებული იქნა როგორც ულტრანაციონალისტური უკრაინელების მიერ უნგრეთის ისტორიის შეურაცხყოფა (Fedinec, 2012, p. 91). ფედინეჩის თქმით, უკრაინელი ანალიტიკოსები აღიარებენ, რომ უკრაინაში მცხოვრები უნგრელები იმაზე მეტად "ხილვადები" არიან, ვიდრე ეს მათ პროპორციას შეეფერება, ისინი მოსახლეობის მხოლოდ 0.3%-ს წარმოადგენენ (Fedinec, 2012, p. 91). უნგრეთის მიერ უკრაინისთვის

წაყენებული მოთხოვნები ადასტურებს იმას, რომ უნგრეთის ხელისუფლება თავს უფლებას აძლევს გავლენა იქონიოს ტრანსკარპატიაში მიმდინარე მოვლენებზე.

უნგრეთ-უკრაინის ურთიერთობები განსაკუთრებით "ფიდესის" მეორედ არჩევის შემდეგ იძაბება. 2014 წელს უკრაინაში მიმდინარე ყირიმის კრიზისის პარალელურად, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ტრანსკარპატიაში მცხოვრები უნგრელებისთვის ავტონომიის მინიჭება მოითხოვა (Reuters Staff, 2014). ამას დიდი კრიტიკა მოჰყვა როგორც უკრაინის, ისე სხვა მეზობლების მხრიდან, ვინაიდან უნგრელებისთვის ავტონომიის მინიჭება უკრაინის ერთიანობას კიდევ უფრო დაასუსტებდა (Reuters Staff, 2014). ორბანის განცხადებით კი, უკრაინა ვერც სტაბილური და ვერც დემოკრატიული ვერ გახდება, თუ იგი ავტონომიას, კოლექტიურ უფლებებსა და ორმაგ მოქალაქეობას არ მიანიჭებს ტრანსკარპატიის უნგრელებს (Reuters Staff, 2014). ამასთან, ყირიმის კრიზისის შემდეგ უკრაინა ბუნებრივ აირს რუსეთის ნაცვლად მეზობელი სახელმწიფოებისგან იღებდა. 2014 წელს ბუდაპეშტში რუსული კომპანია "გაზპრომის" პრეზიდენტის ალექსეი მილერის ვიზიტის შემდეგ, უნგრეთმა უკრაინას ბუნებრივი აირის მიწოდება შეუზღუდა (BBC, 2014). ფიდესის უნგრეთსა და კრემლის რუსეთს შორის პოზიტიური თანამშრომლობა კიდევ ერთი მიზეზია უკრაინისა და უნგრეთის დაძაბული ურთიერთობებისა. 2014 წელს ყირიმის ანექსიის საპასუხოდ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები უნგრეთის მიერ სასტიკად გაკრიტიკებული იქნა (BBC, 2014).

მიუხედავად გარკვეული დაძაბულობისა, 2017 წლამდე უნგრეთი ხელს არ უშლიდა უკრაინის ევროინტეგრაციას. 2017 წელს უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ინიციატივით, უკრაინულ სკოლებში მე-5 კლასის ზემოთ სწავლების ენა უკრაინული უნდა გამხდარიყო, ხოლო ეთნიკურ უმცირესობებს თავიანთი მშობლიური ენის სწავლება ცალკე საგნად შეეძლებოდათ (RFE/RL, 2017). 2017 წლამდე უკრაინის კანონმდებლობის მიხედვით, ისეთ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობების პროცენტული წილი 10%-ს აჭარბებდა, შეეძლოთ თავიანთი მშობლიური ენის გამოყენება საგანმანათლებლო დაწესებულებაში (RFE/RL, 2017). აღნიშნულ კანონმდებლობას უნგრული მხარე ნეგატიურად შეხვდა, ვინაიდან იგი აღქმული იყო როგორც უკრაინაში მცხოვრები უნგრელების უფლებების შელახვა. უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის

განცხადებით, აღნიშნული კანონის მიღების შემთხვევაში უნგრეთი ხელს შეუშლის უკრაინის ყველა მცდელობას გაწევრიანდეს ნატოსა და ევროკავშირში, რაც უკრაინისთვის საკმაოდ მტკივნეული იქნება (RFE/RL, 2017b). უნგრეთმა ასევე წამოაყენა ინიციატივა გამოეთხოვათ ევროკავშირსა და უკრაინას შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება, ხოლო ნატოში უნგრეთის წარმომადგენლობამ უკრაინისა და ნატოს 2017 წლის მინისტერიალის შეხვედრა დაბლოკა (Krekó & Szicherle, 2018). უკრაინის მიერ მიღებული კანონი სხვა ევროპული სახელმწიფოების მიერაც იქნა გაკრიტიკებული, თუმცა ისეთი მძაფრი რეაქცია არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონია როგორც უნგრეთს, რაც ზოგი მკვლევრის აზრით, უბრალოდ საბაბია უნგრეთის რეალური მოტივების გასაჟღერებლად (Krekó & Szicherle, 2018).

2018 წელს უკრაინის ხელისუფლებამ წამოაყენა ინიციატივა ტრანსკარპატიაში, ქალაქ ბერეჰოვეში ძველი სამხედრო ბაზა განეახლებინა (Urcosta, 2018). აღნიშნულ მოვლენას უნგრული მხარე ნეგატიურად შეხვდა და მათი თქმით, რეალური მიზეზი ბაზის განახლების ისაა, რომ "კიევი ტრანსკარპატიაში მცხოვრები უნგრულ უმცირესობას საფრთხედ აღიქვამს, რაც ამაზრზენია" (Urcosta, 2018). შესაბამისად, უნგრეთმა ტრანსკარპატიაში უკრაინელი ნაციონალისტებისგან უნგრული უმცირესობების დასაცავად ეუთოს სადამკვირვებლო ძალების გაგზავნა მოითხოვა (Krekó & Szicherle, 2018). აღნიშნული ქმედება რუსეთის მიერ დონბასში წარმოებული "უკრაინული ნაციონალისტური კარტის" გათამაშების განმეორების მცდელობა იყო (Krekó & Szicherle, 2018). უკრაინის მიერ გადადგმული ზემოაღნიშნული ნაბიჯები უმეტესად რუსული გავლენის დასუსტებისკენ იყო მიმართული, თუმცა უნგრეთის ხელისუფლება უკრაინული მხარის დემონიზებას ახდენს და მუდმივად აპელირებს უკრაინაში მცხოვრები უნგრელი უმცირესობების უფლებების დარღვევაზე, რომ ისინი ზიზღისა და ჩაგვრის მსხვერპლნი არიან.

სახელმწიფოებს შორის კიდევ ერთი დაპირისპირების მიზეზი 2018 წელს გავრცელებული სკანდალი აღმოჩნდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, უნგრეთი საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ეთნიკურ უნგრელებს ორმაგი მოქალაქეობის უფლებას გადასცემს. 2018 წელს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქალაქ ბერეჰოვეში (ტრანსკარპატია) უნგრეთის კონსული უნგრელებს უნგრულ პირადობის მოწმობებს საიდუმლოდ ურიგებდა

(Arunyan, 2018). უკრაინის ხელისუფლებამ კონსული პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა, უნგრეთმაც იმავეთი უპასუხა უკრაინელ კონსულს (Arunyan, 2018).

2019 წელს უკრაინის საპარლამენტო არჩევნების დროს, უნგრეთის ხელისუფლება შეეცადა უნგრული წარმომადგენლობის გაზრდას უკრაინულ საკანონმდებლო ორგანოში და შერჩეული კანდიდატის ვასილ ბრენჟოვიჩის დასახმარებლად ფინანსური დახმარებაც კი გამოყო (Nedelcu et al., 2020). უნგრული "ბეთლენ გაბორის ფონდის" მიერ გამოყოფილი იქნა 2400-მდე დოლარი კანდიდატისთვის საარჩევნო ბილბორდების გასაკრავად (Nedelcu et al., 2020). ასევე უნგრეთის ხელისუფლების უმაღლესი პირები მრავალჯერ ეწვივნენ ზაკარპატიას და მათი მხარდაჭერა გამოხატეს ბრენჟოვიჩის მიმართ (Nedelcu et al., 2020). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა კანდიდატმა ვერ შეძლო პარლამენტში ადგილის მოპოვება, უნგრეთის ქმედება აღქმული იქნა, როგორც უკრაინის არჩევნებში უცხო სახელმწიფოს ჩარევა (Nedelcu et al., 2020).

2021 წელს უნგრეთსა და "გაზპრომს" შორის 15 წლიანი შეთანხმება დაიდო, რომლის მიხედვითაც უნგრეთს რუსეთიდან უკრაინაზე გვერდის ავლით ბუნებრივი აირი მიეწოდებოდა (Hungary Today, 2021). მასზე გვერდის ავლით უკრაინამ მილიონობით ოდენობის სატრანზიტო შემოსავალი დაკარგა, რისთვისაც უკრაინამ უნგრეთი კეთილმეზობლური თანამშრომლობის დარღვევასა და პროკრემლისტურ პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულა, რაც სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების დაძაბვის კიდევ ერთი მიზეზი გახდა (Hungary Today, 2021).

"ფიდესისგან" განსხვავებით უნგრეთში მოღვაწე ულტრამემარჯვენე პარტიები "იობიკი" და "Mi Hazank" (ჩვენი სამშობლოს მოძრაობა) ღიად ამტკიცებენ, რომ ტრანსკარპატია სულიერად და ისტორიულად უნგრეთის ნაწილია, რომელიც წართმეული იქნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (Kalan, 2022). აღნიშნული ჯგუფები ითხოვენ ტრანსკარპატია "დიად უნგრეთს" დაუბრუნდეს(Nedelcu et al., 2020). უკრაინის ომის დაწყების შემდეგ მემარჯვენე ნაციონალისტურმა ძალებმა, მათ შორის "ფიდესის" მხარდამჭერებმა განაცხადეს, რომ "ჩვენ ფინანსურად და ემოციურად მზად უნდა ვიყოთ, რომ მივიღოთ უნგრული ტერიტორია" (Kalan, 2022).

როგორც მრავალჯერ აღინიშნა ტრიანონის ხელშეკრულებამდე დღევანდელი ტრანსკარპატიის ტერიტორია უნგრეთის შემადგენლობაში იყო, ხოლო თანამედროვე

ტრანსკარპატიაში დიდი რაოდენობით უნგრელები ცხოვრობდნენ. უნგრეთსა და უკრაინას შორის გარკვეული დისპუტი აღნიშნული ტერიტორიის თაობაზე ცივის ომის დასრულებიდან ცოცხლობს, თუმცა ორბანის ნაციონალისტურმა პოპულისტურმა პოლიტიკამ განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა ამ საკითხს. თანამედროვე უნგრეთის ხელისუფლება პირდაპირ ტრანსკარპატიის ოკუპაციაზე არ საუბრობს, თუმცა მისი განცხადებები, რეფორმები და საზღვარგარეთ მცხოვრებ უნგრელებთან განსაკუთრებული სიახლოვე, უკრაინის ხელისუფლების მუდმივი კრიტიკა და რეგიონში მიმდინარე პროცესებში ინტენსიური ჩართულობა მოწმობს უნგრეთის ტერიტორიულ პრეტენზიებსა და კომპლექსებს ტრანსკარპატიისადმი. ამასთან, უნგრეთში არსებობენ ულტრამემარჯვენე ჯგუფებიც, რომლებიც პირდაპირ აცხადებენ, რომ ტრანსკარპატია "დიადი უნგრეთის" ნაწილია. 2022 წლის მაისში უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მეთაურის ოლექსეი დანილოვის თქმით, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა წინასწარ იცოდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შესახებ და კრემლი მოელოდა, რომ უნგრეთი ტრანსკარპატიის ტერიტორიასაც მიიერთებდა (Kuznetsov, 2022). აღნიშნული ბრალდება უნგრეთის ხელისუფლებამ უარყო და დღემდე არ გარკვეულა აღნიშნული ბრალდების ავთენტურობა, თუმცა მსგავსი მტკიცება რუსეთსა და უნგრეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობასა და უნგრეთის ტრანსკარპატიაზე პრეტენზიების არსებობას ცხადყოფს.

თავი VII: უნგრეთ-რუსეთის ურთიერთობები

რუსეთ-უკრაინის ომში უნგრეთის პოლიტიკის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია განხილული იქნას უნგრეთისა და რუსეთის ურთიერთობები.

უნგრეთის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უნგრეთსა და რუსეთს შორის პრაგმატული თანამშრომლური ურთიერთობები დამყარდა. 2007 წლის კვლევის მიხევდით, ევროკავშირის სახელმწიფოების რუსეთთან თანამშრომლობის სიაში, უნგრეთი "მეგობრულ პრაგმატისტებს" შორის მოხვდა, როგორც სახელმწიფო, რომელიც ინარჩუნებს თანამშრომლობას რუსეთთან და პოლიტიკურზე მაღლა ეკონომიკურ ინტერესებს აყენებს (Végh, 2015, p. 53).

2010 წელს "ფიდესის" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უნგრეთმა დაიწყო ახალი საგარეო პოლიტიკის კურსი ე.წ. "აღმოსავლეთის გახსნის პოლიტიკა", რომლის მიხედვითაც უნგრეთის ეკონომიკური ურთიერთობები უნდა გაძლიერებულიყო არადასავლელ პარტნიორებთან, განსაკუთრებით კი რუსეთთან და ჩინეთთან (Végh, 2015, p. 51). შესაბამისად, "ფიდესის" მმართველობის ხანაში რუსეთსა და უნგრეთს შორის კავშირები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა. 2014 წელს მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რუსეთის მიედ გაცემული 10 მილიარდი ევროს ოდენობის კრედიტით პაკსის ატომური ელექტროსადგური განახლდებოდა ქალაქ პაკსში, რომელიც უზრუნველყოფდა უნგრეთის ელექტრობის 40%-ს (Végh, 2015, p. 59). ასევე რუსული კომპანია "როზატომი" დამატებით 2 ატომურ ენერგო სადგურს ააშენებდა პაკსში (Végh, 2015, p. 59). ხელშეკრულების დადების პროცესში დასავლური კომპანიები არ ყოფილან მოწვეული და აღებული კრედიტის მიხედვით, 2047 წლამდე უნგრეთი რუსეთთან ვალში იქნება (Végh, 2015, p. 60).

უნგრეთის მჭიდრო კავშირი რუსეთთან განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს დასავლურ სამყაროში, რის გამოც უნგრეთს ხშირად რუსეთის "ტროას ცხენადაც" კი მოიხსენიებენ (Végh, 2015, p. 48). 2014 წელს ყირიმის ანექსიის საპასუხოდ რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები ორბანის ხელისუფლებამ მტკიცედ გააკრიტიკა. მისი მტკიცებით, დაკისრებული სანქციები თავად ევროკავშირის სახელმწიფოებსა და მათ ეკონომიკებს დააზიანებდა, თუმცა უნგრეთი საკმარისად

ძლიერი არ აღმოჩნდა მეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის საერთო პოზიციას და კრიტიკის მიუხედავად მაინც შეუერთდა დაკისრებულ სანქციებს (Végh, 2015, p. 63). ყირიმის კრიზისიდან მალევე, 2015 წელს ვლადიმერ პუტინი ბუდაპეშტს ეწვია, რის შედეგადაც მხარეები ბუნებრივი არის მიწოდების სარფიან პირობებზე შეთანხმდნენ (Végh, 2015, p. 59).

2021 წელს უნგრეთსა და რუსულ კომპანია "გაზპრომს" შორის 15 წლიანი შეთანხმება დაიდო, რომლის მიხედვითაც უნგრეთი რუსეთისგან ყოველწლიურად 4.5 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს შეიძენს (Hungary Today, 2021). უნგრეთსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულებებით იზრდება უნგრეთის ენერგო დამოკიდებულება რუსეთზე, რაც ხშირად პოლიტიკური მანიპულაციის საგანი ხდება.

გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების ინტენსივობისა, თანამედროვე უნგრეთისა და რუსეთის რეჟიმები ერთმანეთს იდეოლოგიურადაც უახლოვდებიან. 2009 წელს "ფიდესის" ხელისუფლებაში მოსვლამდე უნგრეთი კლასიფიცირდება როგორც თავისუფალი ელექტორალური დემოკრატია (Freedom House, 2009, p. 319), ხოლო 2022 წლისთვის იგი მიჩნეულია როგორც ელექტორალური ავტოკრატია (Liboreiro & Zsiros, 2022). ზოგი მკვლევარი უნგრეთს შედარებით ავტორიტარიზმადაც აკლასიფიცირებს (Bojar et al, 2022). რუსეთი კი უკვე ათწლეულებზე მეტია ავტორიტარული სახელმწიფოა. 2014 წელს ორბანმა სიტყვის გამოსვლისას განაცხადა, რომ დემოკრატია აუცილებლად ლიბერალურს არ ნიშნავს, უნგრეთმა კი მაგალითი უნდა აიღოს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არც დასავლურია, არც ლიბერალური, არც ლიბერალური დემოკრატია და არც დემოკრატია, მაგრამ მაინც წარმატებულნი არიან, მაგალითად, რუსეთი (Tóth, 2014). შესაბამისად უნგრეთის ხელისუფლება ააშენებს სახელმწიფოს, რომელიც არალიბერალურია (Tóth, 2014). "ფიდესი" კრემლს თავის მოკავშირედ და არალიბერალური სახელმწიფოს მოდელად მიიჩნევს და ქვეყნის უმაღლესი პირები მრავალჯერ ესტუმრნენ მოსკოვს, მათ შორის 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე (Walker, 2022).

ორბანი მოხიბლულია პუტინის, როგორც ძლიერი ეროვნული ლიდერის რეჟიმით, რომელიც ებრძვის კორუფციულ ლიბერალურ წესებს და იცავს ტრადიციულ სოციალურ ღირებულებებს (Hegedűs, 2016, p. 3). ევროპაში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ

ევროსკეპტიკური მემარჯვენე პოპულისტური ჯგუფები პოზიტიურად აფასებენ კრემლის რეჟიმს, როგორც კორუფციული და ბიუროკრატიულ-ელიტისტური ევროკავშირის წინააღმდეგ მებრძოლს. "ფიდესის" მსგავს რიტორიკას რუსეთისა და ევროკავშირს შესახებ იზიარებს მაგალითად ფრანგული "ეროვნული ფრონტი" მარინ ლე პენის მეთაურობით, ულტრამემარჯვენე პარტია "იობიკი" უნგრეთში და სხვ. (Hegedűs, 2016, p. 3). აღსანიშნავია ისიც, რომ "ფიდესის" ოპოზიციური პარტია "იობიკიც" "ფიდესის" მსგავსად პრორუსულადაა განწყობილი და მისი წევრები რუსეთთან ფინანსურად აფილირებულნი არიან (Hegedűs, 2016, p. 9).

უნგრული საზოგადოების უმრავლესობა ქვეყნის ეროვნულ ინტერესად ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ყოფნას მიიჩნევს, თუმცა ამავე დროს რუსეთს აღიქვამს "დიდ მეზობლად", რომლის შეიარაღებული ჯარები წარსულში ხშირად ხვდებოდნენ მის მათ ტერიტორიაზე (Hegedűs, 2016, p. 3). ორი უდიდესი პარტია უნგრეთში "ფიდესი" და "იობიკი" იდეოლოგიურად და ღირებულებათა სისტემებით უახლოვდება კრემლის პოლიტიკას, რაც განაპირობებს მათ სიახლოვეს რუსეთთან (Hegedűs, 2016, p. 9). ჰეგედუსის მიხედვით, უნგრეთის პრორუსული ორიენტაცია პოლიტიკური ელიტის მიერ წარმოებული დისკურსია და ამას არ იზიარებს უნგრული ხალხის უმეტესობა (Hegedűs, 2016, p. 9). გლობსეკის კვლევის მიხედვით კი, უნგრული საზოგადოება მხარს უჭერს დასავლეთთან ინტეგრაციას, მაგრამ არ გამორიცხავს რუსეთთან თანამშრომლობასაც (Rácz, 2021).

კრემლი ხშირად იყენებს "ფიდესის" პოლიტიკას საკუთარი პროპაგანდისტული მოტივებისთვის, როგორც უკრაინის, ისე ნატოსა და ევროკავშირის დისკრედიტაციისთვის (Krekó & Szicherle, 2018). რუსეთისთვის კარგად ცნობილია უნგრეთის ტერიტორიული პრეტენზიები და კომპლექსები ტრანსკარპატიის რეგიონისადმი, ამიტომ იგი ამ ფაქტს ხშირად იყენებს სახელმწიფოთა შორის დაპირისპირების გასაღვივებლად. 2014 წელს ბერეჰოვეში უნგრეთის საკონსულოსთან ულტრანაციონალისტი უკრაინელების სახელით ცეცხლი წაუკიდეს ქუჩებს მოთხოვნით "შევაჩეროთ სეპარატისტები!" (Mirovalev, 2018). უკრაინული მხარის გამოძიების მიხედვით, აღნიშნული ინციდენტი სწორედ რუსეთის მიერ იქნა ორგანიზებული სახელმწიფოთა შორის დაპირისპირების გაღვივების მიზნით (Mirovalev, 2018).

ორბანის მიერ რუსეთ-უკრაინის ომის მიზეზების ახსნა რუსულ პროპაგანდას იმეორებს, რომელიც ომის დაწყების ტვირთს დასავლეთსა და უკრაინას აკისრებს (Orban, 2022, March 3). ამასთან, ორბანის რიტორიკაში შესაძლებელია ამოკითხულ იქნას მისი იმპერიალისტური "თანაგრძნობა" რუსეთის ექსპანსიონისტური მისწრაფებებისადმი. როგორც მრავალჯერ აღინიშნა, უნგრეთმა ტრიანონის ხელშეკრულებით ტერიტორიების დიდი ნაწილი დაკარგა და ეს ტრავმა დღემდე მყარად არის აღბეჭდილი ისტორიულ მეხსიერებაში. ამასთან, თანამედროვე უნგრეთის პოლიტიკაში არსებობს "დიადი უნგრეთის" იდეა, რომელიც უნგრეთის საზღვრებს მიღმა მცხოვრებ უნგრელებს უნგრეთის ნაწილად აღიქვამს, რაც გულისხმობს იმას, რომ უნგრეთსაც აქვს მის მიერ ე.წ. მონიშნული ტერიტორიები, რომლებზეც გარკვეული ამბიციები აქვს. რუსეთმაც, უნგრეთის მსგავსად, ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი სსრკ-ის დაშლის შემდეგ ტერიტორიების დიდი ნაწილი დაკარგა, მათ შორის უკრაინაც. ტერიტორიების დაკარგვამ რუსეთს დიდი დაღი დაასვა, როგორც პუტინი ამბობს, "სსრკ-ის დაშლა საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო" (NBC, 2005). შესაბამისად, რუსეთი უკრაინას დღემდე საკუთარი გავლენის სფეროდ აღიქვამს და ცდილობს შეაკავოს მისი დამოუკიდებელი პოლიტიკა. თომას ამბროსიოს მიხედვით, ავტორიტარიზმს დიფუზიური ხასიათი აქვს, ავტორიტარულ რეჟიმები ერთმანეთისგან სწავლობენ და ერთმანეთთან თანამშრომლობენ კიდეც (Ambrosio, 2010, p. 375). ორბანის ავტორიტარიზმის გზაზე მდგარმა უნგრეთმა გარკვეული საერთო იპოვა პუტინის რეჟიმთან. ორივე მათგანს წარსულში დაკარგული ტერიტორიების კომპლექსი აქვთ და ცდილობენ ამ ტრავმის გადალახვას იმპერიალისტური მეთოდებით. როგორც აღინიშნა, უნგრეთის ამბიციები ყოფილ დაკარგულ ტერიტორიებზე მიუღწეველია, იქიდან გამომდინარე რომ ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების რევიზია თანამედროვეობაში წარმოუდგენელია, თუმცა "დიადი უნგრეთის" შემადგენელ ნაწილებთან იგი მაინც ინარჩუნებს კავშირს, სხვადასხვა ფინანსური, ეკონომიკური, პოლიტიკური კავშირებითა და ქვეყნის შიგნით ისტორიული მეხსიერების მუდმივი ინსტრუმენტალიზებით. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ აგრესიასა და ომს ორბანი გმობს, მის გამოსვლებში შეინიშნება დასავლეთის დადანაშაულება იმაში, რომ მათ რუსეთის უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნეს უკრაინისთვის დასავლურ ინსტიტუტებში გაწევრიანებაზე

დაპირებით, რაც იმთავითვე ნიშნავს, რომ უკრაინა უნგრეთის ხედვაში კვლავ რუსეთის გავლენის სფეროდ აღიქმება.

თავი VIII: უნგრეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები

მოცემულ თავში განხილულია უნგრეთისა და ევროკავშირის ურთიერთობათა დინამიკა უკანასკნელ ათწლეულებში.

სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ უნგრეთი საპარლამენტო დემოკრატიად გარდაიქმნა, ხოლო გეგმიური ეკონომიკა თავისუფალმა საბაზრო ეკონომიკამ ჩაანაცვლა. დემოკრატიულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო უნგრეთის ევროპულ ოჯახში დაბრუნებას - 1999 წელს იგი NATO-ს წევრი გახდა, ხოლო 2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანდა.

2010 წელს უნგრეთის ხელისუფლების სათავეში პარტია "ფიდესი" მოდის, რომლის პერიოდში უნგრეთი თავისუფალი დემოკრატიიდან ნახევრად თავისუფალ, ჰიბრიდულ რეჟიმად გარდაიქმნა, რომელსაც მკვლევრები შედარებითი ავტორიტარიზმადაც (competitive authoritarianism) კი ახასიათებენ (Bojar et al, 2022). 2010 წლამდე ევროკავშირსა და უნგრეთს შორის ჰარმონიული ურთიერთობა იყო, თუმცა "ფიდესის" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაწყებული დემოკრატიული უკუსვლა ეწინააღმდეგება ევროკავშირის ფუნდამენტურ ღირებულებებს, რამაც ნელ-ნელა მათი ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია.

"ფიდესის" ავტორიტარულ რეჟიმს სისტემის შესანარჩუნებლად მუდმივი მტრის ხატი ესაჭიროება. გარეშე მტრები, რომლებიც მუდმივად ებრძვიან უნგრულ ერს არიან მიგრანტები, ევროკავშირი (ხშირად მოიხსენიებენ როგორც ბრიუსელი), ჯორჯ სოროსი და უკანასკნელ წლებში ამ სიას უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკიც კი შეემატა (Orbán, 2022, April 3).

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის ეკონომიკური კეთილდღეობა დიდწილად სწორედ ევროკავშირის ფინანსური დახმარების შედეგია, ორბანის მმართველობის პერიოდში ბრიუსელის წინააღმდეგ პროპაგანდისტული ბრძოლა იწყება. ორბანის თქმით, უნგრეთის ხელისუფლება იბრძვის ევროკავშირის წინააღმდეგ უნგრეთის "ეროვნული თავისუფლების" შესანარჩუნებლად, ვინაიდან ევროკავშირი არ განსხვავდება იმ იმპერიებისგან, რომელიც დეკადების განმავლობაში ცდილობდნენ უნგრეთის დამორჩილებას (Bajomi et al., 2020, 15).

ბოზოკისა და ჰეგედუსის მიხედვით, ორბანის უნგრეთი არის ნაცრისფერი ზონა დემოკრატიასა და ავტოკრატიას შორის, რომლის უნიკალურობა იმაში ვლინდება, რომ იგი ევროკავშირის მიერ გარედან იზღუდება (as cited in Bajomi et al., 2020, 15). ამასთან, ევროკავშირი დიდ როლს თამაშობს ორბანის რეჟიმის შეზღუდვაში, მაგრამ ამავე დროს იგი გარკვეულ ლეგიტიმაციას ანიჭებს მას, ვინაიდან იგი ევროკავშირის წევრად რჩება (Bajomi et al., 2020, 15). სწორედ ამიტომ, 2017 წელს ისტორიაში პირველად ევროკავშირმა უნგრეთის წინააღმდეგ მეშვიდე მუხლი აამოქმედა, რაც ევროკავშირის წევრის სახელმწიფოსთვის კონკრეტული უფლებების ჩამორთმევას გულისხმობს (Hegedüs, n.d.). "ფიდესი", რომელიც "ევროპელი ხალხის პარტიის" წევრია, მუდმივად კონფრონტაციაშია ევროკავშირის პოლიტიკასთან, განსაკუთრებით კი საგარეო საკითხებში. უნგრეთის ხელისუფლების მიერ შექმნილი ევროკავშირის სახე შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ევროკავშირი ელიტისტურ-ბიუროკრატიული წარმონაქმნია, რომელიც ბოროტად იყენებს ძალაუფლებას და არა ხალხის, არამედ კონკრეტული ელიტების ინტერესებს ახორციელებს (Orban, 2022, September 26). ორბანის თქმით, ბრიუსელი წარუმატებელია და ეფექტურად ვერ უმკლავდება გამოწვევებს, მის მიერ გატარებული პოლიტიკა კი არ შეესაბამება წევრი სახელმწიფოების საზოგადოებების ინტერესებს, "ბრიუსელში მხოლოდ საუბარი იციან" (Orban, 2022, March 4). გარდა ამისა, ორბანის ხელისუფლება ევროკავშირს ახასიათებს როგორც დესპოტურ, იმპერიალისტურ წარმონაქმნს, რომელიც მიისწრაფვის აბსოლუტიზმისა და ჰომოგენიზაციისკენ, უნგრეთი კი სწორედ ევროკავშირის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ იბრძვის (Orban, 2022, May 17).

უნგრეთის პოპულისტური და არადემოკრატიული პოლიტიკა ხშირად იწვევს ევროკავშირის მხრიდან კრიტიკასა და ორბანის ხელისუფლებისადმი მკაცრ პოლიტიკას. გარდა ამისა, ევროკავშირი სუპრანაციონალისტური ორგანიზაციაა, სადაც სახელმწიფოთა სუვერენიტეტი ხშირად იზღუდება. სწორედ საკუთარი სუვერენიტეტის დაცვის მიზნით ეწინააღმდეგება უნგრეთი ევროკავშირს.

მძიმე ისტორიულმა ტრავმებმა უნგრეთს სუვერენიტეტის კომპლექსი გაუჩინა, რაც სუვერენიტეტისა და თვითმყოფადობის დაკარგვის შიშს გულისხმობს. უნგრულ ისტორიულ მეხსიერებაში სიამაყეს იწვევს ის ფაქტი, რომ უნგრეთი მუდმივად

თავისუფლებისათვის იბრძოდა (Schein, 2023). უნგრეთის სუვერენიტეტი მუდმივი გამოწვევის წინაშე იყო, საკუთარი თვითმყოფადობისთვის კი იგი მარტო იბრძოდა (Schein, 2023). ვიქტორ ორბანის თქმით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კოლექტიურმა დასავლეთმა უნგრეთის ათასწლოვანი საზღვრები გაძარცვა, იგი დაუცველ საზღვრებში მოაქცია და ბუნებრივი რესურსები ჩამოართვა, რასაც უნგრეთი არასოდეს დაივიწყებს (Orbán, 2020, June 6). 1956 წლის რევოლუციის დროსაც კი უნგრეთი დასავლელმა მოკავშირეებმა დაპირების მიუხედავად მარტო დატოვეს საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში (Schein, 2023). სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ უნგრეთის ევროინტეგრაცია წარმატებით განხორციელდა, თუმცა ორბანის თქმით, უნგრეთს კვლავ უწევს ბრძოლა ბრიუსელის წინააღმდეგ საკუთარი სუვერენიტეტისა და იდენტობის შესანარჩუნებლად (Orbán, 2019, May 17). სწორედ ამიტომ წარმოჩინდება ევროკავშირი როგორც ელიტისტური, აბსოლუტისტური, ბიუროკრატიული წარმონაქმნი, რომელიც უნგრეთის სუვერენიტეტსა და იდენტობას ებრძვის. რუსეთ-უკრაინის ომში რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები, რომელიც, “ფიდესის” თქმით, თავად ევროკავშირს აზიანებს, ბრიუსელის კიდევ ერთი ინსტრუმენტია საკუთარი ხალხის და მათ შორის უნგრეთის თვითმყოფადობის შესაზღუდად (Orban, 2022, May 17).

თავი IX: ისტორიული მეხსიერების გავლენა უნგრეთის პოლიტიკაზე რუსეთ-უკრაინის ომში

მიმდინარე თავი შუალედური ცვლადების ოპერაციონალიზაციის მეშვეობით ხსნის თუ რა გავლენას ახდენს ისტორიული მეხსიერება უნგრეთის პოლიტიკაზე.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, თანამედროვე უნგრეთის ისტორიული მეხსიერება ტრავმებითაა აღსავსე, რომელთა შორის განსაკუთრებით ძლიერი ზეგავლენით ტრიანონის ხელშეკრულება გამოირჩევა. აღნიშნული მოვლენის შემდეგ უნგრეთმა ტერიტორიების დიდი ნაწილი დაკარგა, რაც მის მეხსიერებაში მარცხის, ტრაგედიისა და უნგრული ერის სავარაუდო განადგურების სიმბოლოდ აღიბეჭდა. თანამედროვე უნგრეთის მემარჯვენე პოპულისტური ხელისუფლება ხელახლა აცოცხლებს ისტორიულ მეხსიერებას და აპელირებს იმ ტრავმებზე, რომელიც უნგრულ საზოგადოებაშია. "ფიდესის" მმართველობის პერიოდში ხელახლა გაცოცხლდა "დიადი უნგრეთის" იდეა, რომელსაც ამბიციები და პრეტენზიები აქვს წარსულში უნგრეთის შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიების მიმართ. დასავლურ სამყაროში ირედენტიზმისა და ტერიტორიული რევიზიონიზმის არაპოპულარობის გამო, ორბანის ხელისუფლება ცხადად არ მოუწოდებს სამხედრო ძალებს დაკარგული ტერიტორიების დაპყრობისკენ, თუმცა უკანასკნელ წლებში გატარებული მეხსიერების პოლიტიკა სწორედ "დიადი უნგრეთისა" და ყველა უნგრელის გაერთიანების მცდელობაა. იქნება ეს საგანმანათლებლო რეფორმები, ისტორიის რეკონსტრუირების მცდელობა, საზღვრებს მიღმა უნგრელებისთვის მოქალაქეობის მიცემა თუ მათი ფინანსურ-ეკონომიკური დახმარება. როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე უნგრეთის მიერ "დიადი უნგრეთის" აღდგენის მცდელობა იდეოლოგიურად ენათესავება პუტინის ექსპანსიონისტურ პოლიტიკასა და ავტორიტარულ რეჟიმს, რომელსაც ასევე პრეტენზია და ამბიციები აქვს წარსულში რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში შემავალი ტერიტორიებისადმი, კერძოდ კი უკრაინისადმი. სწორედ ირედენტისტულ-რევიზიონისტული პოლიტიკისა და რეჟიმის სიახლოვე განაპირობებს უნგრეთის რუსეთისადმი ნაკლებად ხისტ დამოკიდებულებას.

მეორე მხრივ, უკრაინის შემადგენლობაში შემავალი ტრანსკარპატია წარსულში უნგრეთის ნაწილი იყო და დღეს დიდი რაოდენობით უნგრელითაა დასახლებული. ტრანსკარპატიის დაპყრობის მცდელობა უნგრეთს ერთხელ უკვე ჰქონდა, რისთვისაც იგი ნაცისტური გერმანიის მოკავშირეც კი გახდა. დღესდღეობით ორბანის ხელისუფლება ცდილობს ტრანსკარპატიაში მცხოვრებ უნგრელებთან მჭიდრო კავშირი შეინარჩუნოს უნგრული ერის ერთიანობის იდეით. იგი უკრაინის ხელისუფლებას მათთვის ავტონომიის გადაცემისკენ მოუწოდებს. ამის პარალელურად ინარჩუნებს ძლიერ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს იქ მცხოვრებ უნგრულ მოსახლეობასთან, გავლენას ახდენს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და არჩევნებშიც კი შერჩეულ კანდიდატს უჭერს მხარს. "ფიდესი" მუდმივად ადანაშაულებს უკრაინის ხელისუფლებას უნგრელების უფლებების დარღვევაში და საკუთარ პასუხისმგებლობად მიიჩნევს ეთნიკური უნგრელების დაცვას. სწორედ ტრანსკარპატიისადმი არსებული ამბიციებისა და ტერიტორიული კომპლექსებით შეიძლება აიხსნას უნგრეთის არაემპათიური და მტრული პოლიტიკა უკრაინის მიმართ რუსეთ-უკრაინის ომში.

უნგრეთის ოპრესირებული ისტორიული მეხსიერების ერთ-ერთი გამოვლინებაა სუვერენიტეტის კომპლექსიც. როგორც აღინიშნა, უნგრეთმა რამდენჯერმე დაკარგა დამოუკიდებლობა. როგორც ორბანი ამბობს, ჯერ ჰაბსბურგებმა, შემდეგ ნაცისტებმა და საბჭოთა კავშირმა წაართვეს უნგრეთს თავისუფლება, უნგრელები კი მუდმივად იბრძოდნენ უცხო მანდატის წინააღმდეგ (Orban, 2022, October 26). თანამედროვე უნგრეთის თვალთახედვიდან ევროკავშირი იქცა იმ ინსტიტუტად, რომელიც უნგრეთისთვის სუვერენიტეტის წართმევასა და მის ჰომოგენიზაციას ცდილობს. სწორედ ამიტომ თანამედროვე უნგრეთის ხელისუფლება განსაკუთრებით მტრულადაა განწყობილი ევროკავშირისადმი, რაც ბრიუსელის პოლიტიკის მუდმივ კრიტიკაში აისახება. ამის გამოხატულებაა სწორედ რუსეთ-უკრაინის ომში ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისადმი განსაკუთრებული წინააღმდეგობა.

თეორიული ანალიზი

მიმდინარე თავში უნგრეთის ისტორიული მეხსიერების გავლენა მის პოლიტიკაზე რუსეთ-უკრაინის ომში.კონსტრუქტივიზმის თეორიულ ჭრილშია ხსნილი.

ჯეფრი ალექსანდერის კულტურული ტრავმის კონცეფციის მიხედვით, ტრავმას არა ინდივიდი, არამედ საზოგადოება ინახავს და ეს ტრავმა გავლენას ახდენს ჯგუფის კოლექტიურ მეხსიერებასა და იდენტობაზე, რაც აყალიბებს ჯგუფურ იდენტობას, განსაზღვრავს თუ ვინ არის "ჩვენ" (as cited in Barna, 2021, p. 3). თანამედროვე უნგრეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ისტორიული მეხსიერება, რომელიც დაფუძნებულია ისტორიის დამახინჯებულ ხედვასა და უნგრული ეროვნული იდენტობის სიმბოლოების პოლიტიზებაზე (Bajomi et al., 2020, p. 16). კონსტრუქტივიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა სოციალური სტრუქტურაა, რომელიც აგებულია იდეური ფაქტორებით, ნორმებით, წესებითა და კანონებით. აღნიშნული სისტემა გავლენას ახდენს აგენტების (ამ შემთხვევაში სახელმწიფოების) იდენტობებისა და ინტერესების ჩამოყალიბებასა და მათი პოლიტიკის ფორმირებაზე (Viotti & Kauppi, 2012). კონსტრუქტივიზმში მატერიალური საკითხების გარდა მნიშვნელობა ენიჭება იდეურ, აღქმებზე დაფუძნებულ შეხედულებებს. თავად იდენტობა კი სოციალურად კონსტრუირდება და კოლექტიურ აღქმებზეა დამყარებული. ე.წ. შესაბამისობის ლოგიკის მიხედვით, სახელმწიფო საკუთარი იდენტობის შესაფერისად იქცევა (Viotti & Kauppi, 2012). თანამედროვე უნგრეთის ისტორიული მეხსიერება სოციალურად კონსტრუირებულია და იგი აყალიბებს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს. ისტორიულ მეხსიერებაზე დაყრდნობით თანამედროვე უნგრეთის ხელისუფლება უკრაინის შემადგენლობაში შემავალ ტრანსკარპატიას საკუთარი ერის ნაწილად აღიქვამს და არა მილიტარისტული, არამედ სიმბოლური პოლიტიკით ცდილობს მასთან დაახლოებას. დაკარგული წარსული დიდებისა და "დიადი უნგრეთის" იდეით კი თანამედროვე უნგრეთი კრემლის რუსეთს ენათესავება. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, ხშირად აღქმებზე და იდენტობაზე დაფუძნებული პოლიტიკა არამატერიალურ იდეებს ანიჭებს უპირატესობას და წარმოებული პოლიტიკა ხშირად შესაძლოა ერთი შეხედვით არარაციონალურიც კი იყო. სწორედ კონსტრუქტივიზმი ხსნის იმ ფაქტს, რომ უნგრეთი უგულებელყოფს რუსეთიდან მომდინარე პოტენციურ საფრთხეს და ნაკლებად ხისტ პოლიტიკას აწარმოებს მის მიმართ.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, აღქმები, რწმენები და იდენტობები აყალიბებს მტრებისა და მოკავშირეების ვინაობას. უნგრეთის ისტორიულ მეხსიერებაში მტკიცედაა აღბეჭდილი სუვერენიტეტისთვის ბრძოლა. თანამედროვე უნგრეთში ევროკავშირი პორტრეტირებულია როგორც მტრული უცხოური ძალა, რომელიც მუდმივად უნგრეთის სუვერენიტეტსა და თვითმყოფადობას ებრძვის. შესაბამისად, უნგრეთის ისტორიული მეხსიერება ევროკავშირს მტრის ხატად სახავს და ეწინააღმდეგება მის "მანდატს" საკუთარ საზღვრებში, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაც ევროკავშირის სანქციების მიმართ გამოხატული წინააღმდეგობაა.

დასკვნა

თანამედროვე უნგრეთის ისტორიული მეხსიერება დაფუძნებულია ტრიანონის ხელშეკრულებამდე არსებულ ტერიტორიულ ამბიციებზე. ორბანის მემარჯვენე ნეიტივისტური პოლიტიკა მიმართულია წარსული ტერიტორიებისადმი სენტიმენტების გაღვივებისკენ, რაც მის განცხადებებში, სიმბოლურ აქტებსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ვლინდება. სწორედ ამიტომ უნგრეთს გარკვეული ტერიტორიული კომპლექსები აქვს უკრაინის ტერიტორიაზე არსებული ტრანსკარპატიის ოლქისადმი. საკმარისია გავიხსენოთ ორბანის 2014 წლის ცნობილი მოწოდება უკრაინის პარლამენტისადმი, „მიეცით უნგრელებს ავტონომია“ (Gardner, 2014).

„ფიდესი“ დიდი სიმპათიებით გამოირჩევა კრემლის რეჟიმისადმი, გარდა იმისა, რომ მისი მმართველობის პერიოდში უნგრეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაუახლოვდა რუსეთს, ორბანი ხშირად იწონებს ხოლმე პუტინის პოლიტიკას. უნგრეთის მსგავსად, რუსეთსაც აქვს ტერიტორიული კომპლექსები. ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ რუსეთმა დაკარგა ტერიტორიების დიდი ნაწილი და დღესაც ცდილობს გავლენის სფეროების დაბრუნებას და ამისთვის ისტორიულ მეხსიერებასაც ინტენსიურად იყენებს, რისი დასტურიცაა უკრაინისადმი წამოწყებული ომი და მისი სახელმწიფოებრიობის ეჭვქვეშ დაყენება ისტორიული არგუმენტაციით (Perrigo, 2022). შეიძლება ითქვას, რომ რუსეთსა და უნგრეთს ახასიათებთ წარსული იმპერიებისადმი სენტიმენტები და თანამედროვე ტერიტორიული რევიზიონიზმი, რაც განაპირობებს ორი რეჟიმის სიახლოვეს.

და ბოლოს, თანამედროვე უნგრეთის მეხსიერება ითვლის ჯერ ტრიანონის შემდგომ „დამცირებას“, შემდეგ კი საბჭოთა ზეწოლას. თანამედროვე უნგრეთის პოპულისტური და ავტორიტარული ღირებულები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის ღირებულებთან, რის გამოც ორბანის ხელისუფლება ხშირად ხდება კრიტიკის საგანი. შესაბამისად, უნგრეთი განიცდის საფრთხეს, რომ მისი სუვერენიტეტი კიდევ ერთხელ საფრთხის წინაშე დადგება, სწორედ ამიტომ ცდილობს შეეწინააღმდეგოს ევროკავშირის “მანდატს”, მათ შორის სანქციებს და დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს, რათა კვლავ არ დაკარგოს სუვერენიტეტი. სწორედ აღნიშნული სამი ფაქტორი, რომელიც სათავეს

ისტორიული მეხსიერებიდან იღებს, განაპირობებს უნგრეთის ანტაგონიზმს უკრაინისადმი რუსეთ-უკრაინის ომში.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში ისტორიული მეხსიერება დიდ როლს თამაშობს, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ფენომენით სახელმწიფოთა ქმედებების ახსნა შედარებით იშვიათია. სამომავლო კვლევებისთვის რეკომენდებული იქნება ისტორიული მეხსიერების ფენომენისა და საგარეო პოლიტიკის კორელაციის შესწავლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვენდტი, ა. (2004). ანარქია ისეთია, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ: ძალის პოლიტიკის სოციალური კონსტრუქცია. თ. თურმანიძე, ე. ურუშაძე, ლ. დუჩიძე (რედ.), *საერთაშორისო ურთიერთობების ქრესტომათია* (გვ. 435–473). სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი.

Ambrosio, T. (2010). Constructing a Framework of Authoritarian Diffusion: Concepts, Dynamics, and Future Research. *International Studies Perspectives*, *11*(4), 375–392. http://www.jstor.org/stable/44218696

Arunyan, A. (2018). How Hungary and Ukraine fell out over a passport scandal. openDemocracy. Retrieved June 21, 2023. https://www.opendemocracy.net/en/odr/how-kyiv-and-budapest-fell-out-over-zakarpattya/

Bajomi, I., Bozóki, A., Csáki, J., Enyedi, Z., Fábián, I., Gábor, G., Gács, A., Galicza, P., Gyáni, G., Haris, A., Heller, A., Jászay, T., Kenesei, I., Klaniczay, G., Krusovszky, D., Kubínyi, K., Kulcsár, V., Lővei, P., Máté, A., Mélyi, J., Nagy, G., Pásztor, E., Polyák, G., Radó, P., Rényi, A., Rényi, A., Sirató, I., Tőkei, E., Váradi, A., & Vásárhelyi, M. (2020). *Hungary Turns Its Back On Europe: Dismantling Culture, Education, Science And The Media In Hungary 2010–2019.* (pp. 10-16). Human Platform.

Bárdi, N., Fedinec, C., & Szarka, L. (Eds.). (2011). *Minority Hungarian communities in the twentieth century*. Social Science Monographs; Atlantic Research and Publications; Distributed by Columbia University Press.

Bárdi, N. (2011). The Policies Towards Hungarian Communities Pursued by Hungary's Neighboring Countries. In N. Bárdi, C. Fedinec, & L. Szarka (Eds.), *Minority Hungarian communities in the*

twentieth century (pp. 102–116). Social Science Monographs ; Atlantic Research and Publications ; Distributed by Columbia University Press.

Bárdi, N. (2011). The Policy of Budapest Governments towards Hungarian Communities Abroad. In N. Bárdi, C. Fedinec, & L. Szarka (Eds.), *Minority Hungarian communities in the twentieth century* (pp. 456–467). Social Science Monographs ; Atlantic Research and Publications ; Distributed by Columbia University Press.

Barna, I. (2021). *Hungary's Fragmented Historical Memory – European Memory Politics – a short introduction.* EUCAnet (Europe Canada Network). /*www.eucanet.org/hungarys-fragmented-historical-memory-european-memory-politics-a-short-introduction/*

Bayer, Lily. (2022, February 28). Hungary refuses to allow weapons transit to Ukraine. *POLITICO*. Retrieved June 21, 2023.
https://www.politico.eu/article/hungary-foreign-minister-peter-szijjarto-weapon-transit-ukraine

BBC News. (2014, September 26). Hungary suspends gas supplies to Ukraine. *BBC News*. Retrieved June 21, 2023. https://www.bbc.com/news/business-29374151

BBC News. (2014b, August 15). Hungary PM Orban condemns EU sanctions on Russia. *BBC News*. Retrieved June 21, 2023. https://www.bbc.com/news/world-europe-28801353

Bojar, A., Gáspár, Z., & Róna, D. (2022). Can they ever win? The past and future prospects for an opposition victory in Hungary's competitive authoritarian regime. *Review of Democracy.* https://revdem.ceu.edu/2022/04/30/prospects-for-an-opposition-victory-in-hungarys-competitive-authoritarian-regime/

Csernicskó, I., Fedinec, C. (2019). Time and Space in Between: Time Zones, Languages, and Cultures in Transcarpathia (Ukraine). *Acta Universitatis Sapientiae, Philologica,* 11, 2 (2019) 7–22, DOI: 10.2478/ausp-2019-0009

Embassy of Ukraine in Hungary. (2012). *Political issues of Ukraine and Hungary.* Embassy of Ukraine in Hungary. Retrieved June 21, 2023. https://hungary.mfa.gov.ua/en/embassy/263-istorija-dvostoronnih-vidnosin

Fedinec, C. (2013). Ukraine's Place in Europe and Two Decades of Hungarian-Ukrainian Relations. *Foreign Policy Review* 2013/1. https://www.researchgate.net/publication/340502912_Ukraine's_Place_in_Europe_and_Two_Decades_of_Hungarian-Ukrainian_Relations_Foreign_Policy_Review_20131

Freedom House. (2009). *Freedom in the World 2009: The Annual Survey of Political Rights and Civil Liberties.* Freedom House https://freedomhouse.org/sites/default/files/2020-02/Freedom_in_the_World_2009_complete_book.pdf

Fukuoka, K. (2011). Memory, Politics, and International Relations [Review of *Power and the Past: Collective Memory and International Relations*, by E. Langenbacher & Y. Shain]. *Georgetown Journal of International Affairs*, *12*(1), 142–148.

Gardner, A. (2014, May 15). Orbán to Ukraine: Give Hungarians autonomy. *POLITICO*. Retrieved June 21, 2023.
https://www.politico.eu/article/orban-to-ukraine-give-hungarians-autonomy/

Hegedüs, D. (n.d.). European Parliament's Article 7 against Hungary Not a Nuclear Option, but the Right Step. *GMFUS.*
https://www.gmfus.org/news/european-parliaments-article-7-against-hungary-not-nuclear-option-right-step

Hegedüs, D. (2016). *The Kremlin's Influence in Hungary.* DGAP. *https://dgap.org/en/research/publications/kremlins-influence-hungary*

Holroyd, M. (2020, May 12). Viktor Orban provokes neighbours with historical map of Hungary. *Euronews*. Retrieved June 21, 2023. https://www.euronews.com/2020/05/08/viktor-orban-provokes-neighbours-with-historical-map-of-hungary-thecube

Gyáni, G. (2021). *A Nation Divided by History and Memory: Hungary in the Twentieth Century and Beyond.* Routledge.

Hungary in EU presidency "history" carpet row. (2011, January 14). *BBC News*. Retrieved June 21, 2023. https://www.bbc.com/news/world-europe-12194899

Hungary Signs 15-year Gas Contract with Gazprom - Hungary Today. (2021, August 28). Hungary Today. Retrieved June 21, 2023. https://hungarytoday.hu/hungary-government-15-year-energy-gas-contract-russia-gazprom/

Iegoshyna, V. (2021). How The Hungarian Government Invests Billions In Zakarpattia. *VSQUARE.* Retrieved June 21, 2023. https://vsquare.org/how-the-hungarian-government-invests-billions-in-zakarpattia/

Interview with Prime Minister Viktor Orbán in the biweekly magazine Budapester Zeitung. (2022b, October 26). Interview With Prime Minister Viktor Orbán in the Biweekly Magazine Budapester Zeitung. Retrieved June 21, 2023. https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/interview-with-prime-minister-viktor-orban-in-the-biweekly-magazine-budapester-zeitung

Kalan, D. (2022). Ukraine War Feeds Dreams of Hungarian Far-Right Reclaiming Lost Land. *Balkan Insight*. Retrieved June 21, 2023. https://balkaninsight.com/2022/05/04/ukraine-war-feeds-dreams-of-hungarian-far-right-reclaiming-lost-land/

Klymenko, L., & Siddi, M. (Eds.). (2020). *Historical Memory and Foreign Policy*. Palgrave Macmillan Cham.

Krekó, P., Szicherle, P. (2019, January 16). Why Is Hungary Blocking Ukraine's Western Integration? *Atlantic Council*. Retrieved June 21, 2023. https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/why-is-hungary-blocking-ukraine-s-western-integration/

Kuznetsov, S. (2022, May 4). Hungary 'outraged' by Kyiv's claim it was warned by Russia of Ukraine invasion. *POLITICO*. Retrieved June 21, 2023. https://www.politico.eu/article/hungary-outrage-claim-warn-russia-invasion-ukraine/

Langenbacher, E., & Shain, Y. (Eds.). (2010). *Power and the Past: Collective Memory and International Relations*. Georgetown University Press. http://www.jstor.org/stable/j.ctt2tt597

Liboreiro, J. (2022, September 16). Hungary is no longer a full democracy but an "electoral autocracy," MEPs declare in new report. *Euronews*. Retrieved June 21, 2023. https://www.euronews.com/my-europe/2022/09/15/hungary-is-no-longer-a-full-democracy-but-an-electoral-autocracy-meps-declare-in-new-repor

Magocsi, P. R. (2015). *With Their Backs to the Mountains: A History of Carpathian Rus' and Carpatho-Rusyns* (NED-New edition, 1). Central European University Press. http://www.jstor.org/stable/10.7829/j.ctt19z395j

Mirovalev, M. (2018, November 5). Caught between two rivals, ethnic Hungarians in Ukraine walk a fine line - Los Angeles Times. *Los Angeles Times*. Retrieved June 21, 2023. https://www.latimes.com/world/europe/la-fg-ukraine-hungarians-20181105-story.html

Nattrass, W. (2022, May 14). Orbán won't make Hungarians pay war price. *POLITICO*. Retrieved June 21, 2023. https://www.politico.eu/article/hungary-viktor-orban-oil-ban-eu-sanctions-russia-war-ukraine/

Nedelcu, H., Panchuk, D., & Lendel, M. (2020, May 6). *Foreign interference in the Zakarpattia region of Ukraine: The 2019 elections and beyond.* New Eastern Europe. Retrieved June 21, 2023. https://neweasterneurope.eu/2020/05/06/foreign-interference-in-the-zakarpattia-region-of-ukraine-the-2019-elections-and-beyond/

NBC News. (2005, April 25). *Putin: Soviet collapse a "genuine tragedy."* Retrieved June 21, 2023. https://www.nbcnews.com/id/wbna7632057

Pető, A. (2022). The Illiberal Memory Politics in Hungary, *Journal of Genocide Research,* 24:2, 241-249, DOI: 10.1080/14623528.2021.1968150

Perrigo, B. (2022, February 22). How Putin's Denial of Ukraine's Statehood Rewrites History. *Time*. Retrieved June 21, 2023. https://time.com/6150046/ukraine-statehood-russia-history-putin/

Prime Minister Viktor Orbán's statement on Facebook following a special meeting of the European Council. (2022, February 25). Prime Minister Viktor Orbán's Statement on Facebook Following a Special Meeting of the European Council. Retrieved June 21, 2023. https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/prime-minister-viktor-orban-s-statement-on-facebook-following-a-special-meeting-of-the-european-council

Prime Minister Viktor Orbán on the Kossuth Radio program "Good Morning Hungary." (2022, March 3). Prime Minister Viktor Orbán on the Kossuth Radio Program "Good Morning Hungary." Retrieved June 21, 2023. https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/prime-minister-viktor-orban-on-the-kossuth-radio-program-good-morning-hungary-6225fcbc551b4

Prime Minister Viktor Orbán's commemoration speech. (2020, June 6). Prime Minister Viktor Orbán's Commemoration Speech. Retrieved June 21, 2023. https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/primeminister-viktor-orbans-commemoration-speech-trianon

Prime Minister Viktor Orbán's address to the Hungarian parliament before the start of daily business. (2022, September 26). Prime Minister Viktor Orbán's Address to the Hungarian Parliament Before the Start of Daily Business. Retrieved June 21, 2023. https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/prime-minister-viktor-orbans-address-to-the-hungarian-parliament-before-the-start-of-daily-business

Rácz, A. (2021). Authoritarian Ties: The Case of Russia and Hungary. *Wilson Center.* https://www.wilsoncenter.org/blog-post/authoritarian-ties-case-russia-and-hungary

Radonić, L. (2020). 'Our' vs. 'Inherited' Museums. PiS and Fidesz as Mnemonic Warriors. *Südosteuropa*, *68*(1), 44-78. https://doi.org/10.1515/soeu-2020-0003

Reus-Smit, C. (2005). Constructivism. In S. Burchill, A. Linklater, R. Devetak, J. Donnelly, M. Paterson, C. Reus-Smit, & J. True (Eds.), *Theories of International Relations* (pp. 188-211). Palgrave Macmillan.

Rfe/Rl. (2017, September 26). Ukrainian President Signs Controversial Language Bill Into Law. *RadioFreeEurope/RadioLiberty*. Retrieved June 21, 2023. https://www.rferl.org/a/ukrainian-poroshenko-signs-controversial-language-bill-into-law/28757195.html

Rfe/Rl. (2017b, September 30). Hungary Threatens "Pain" For Ukraine Over Controversial Language Law. *RadioFreeEurope/RadioLiberty*. Retrieved June 21, 2023. https://www.rferl.org/a/ukraine-hungary-language-law-eu-pain/28758760.html

Reuters Staff. (2014, June 3). Ukraine rejects autonomy calls for ethnic Hungarians made by Orban. *Reuters*. Retrieved June 21, 2023. https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-hungary-autonomy/ukraine-rejects-autonomy-calls-for-ethnic-hungarians-made-by-orban-idUSKBN0EE0N120140603

Rimi, A. (2022, April 4). Viktor Orban calls Zelensky an 'opponent' after Hungary election win. *Independent*. Retrieved June 21, 2023. https://www.independent.co.uk/news/world/europe/orban-zelensky-hungary-ukraine-election-b2050328.html

Schein, G. (2023). The Poetics and Politics of Historical Memory in Hungary. *History News Network.* https://hnn.us/article/185025

Simon, Z. (2022, May 2). Hungary Floats Veto Threat as EU Works to Ban Russian Oil. *Financial Post*. Retrieved June 21, 2023. https://financialpost.com/pmn/business-pmn/hungary-would-veto-eu-sanctions-on-russian-energy-minister-says

Smith, A.D. (1986). *The ethnic origins of nations.* Blackwell Publishing.

Speech by Prime Minister Viktor Orbán on the 174th anniversary of the Hungarian Revolution and War of Independence of 1848–49. (2022, March 16). Speech by Prime Minister Viktor Orbán on the 174th Anniversary of the Hungarian Revolution and War of Independence of 1848–49. Retrieved June 21, 2023. https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/speech-by-prime-minister-viktor-orban-on-the-174th-anniversary-of-the-hungarian-revolution-and-war-of-independence-of-184849

Speech by Prime Minister Viktor Orbán, following the election victory of Fidesz-KDNP. (2022, April 3). Speech by Prime Minister Viktor Orbán, Following the Election Victory of Fidesz-KDNP. Retrieved June 21, 2023. *https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/speech-by-prime-minister-viktor-orban-following-the-election-victory-of-fidesz-kdnp*

Speech By Prime Minister Viktor Orbán At A Ceremony Commemorating The 200th Anniversary Of The Birth Of The Hungarian National Anthem. (2023, January 22). Speech by Prime Minister Viktor Orbán at a Ceremony Commemorating the 200th Anniversary of the Birth of the Hungarian National Anthem. Retrieved June 21, 2023. https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/speech-by-prime-minister-viktor-orban-at-a-ceremony-commemorating-the-200th-anniversary-of-the-birth-of-the-hungarian-national-anthem

Speech by Prime Minister Viktor Orbán at the inauguration of the Bosch Budapest Innovation Campus. (2022, September 8). Speech by Prime Minister Viktor Orbán at the Inauguration of the Bosch Budapest Innovation Campus. Retrieved June 21, 2023. https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/speech-by-prime-minister-viktor-orban-at-the-inauguration-of-the-bosch-budapest-innovation-campus

Speech given by Prime Minister Viktor Orbán after swearing his prime ministerial oath. (2022, May 17). Speech Given by Prime Minister Viktor Orbán After Swearing His Prime Ministerial Oath. Retrieved June 21, 2023. *https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/speech-given-by-prime-minister-viktor-orban-after-swearing-his-prime-ministerial-oath*

Szarka, L. (2011). The Break-Up of Historical Hungary. In N. Bárdi, C. Fedinec, & L. Szarka (Eds.), *Minority Hungarian communities in the twentieth century* (pp. 29–42). Social Science Monographs ; Atlantic Research and Publications ; Distributed by Columbia University Press.

Szarka, L. (2011). Hungarian Minorities and the Change of System, 1989–1991. In N. Bárdi, C. Fedinec, & L. Szarka (Eds.), *Minority Hungarian communities in the twentieth century* (pp. 441–455). Social Science Monographs ; Atlantic Research and Publications ; Distributed by Columbia University Press.

Tomiuc, E. (2008, April 9). Hungary: Status Law Causing Dispute With Neighbors. *RadioFreeEurope/RadioLiberty*. Retrieved June 21, 2023. https://www-rferl-org.translate.goog/a/1097612.html?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc

Toomey, M. (2022, November 30). Viktor Orbán's controversial 'Greater Hungary' scarf explained. *The Conversation.* Retrieved June 21, 2023. https://theconversation.com/viktor-orbans-controversial-greater-hungary-scarf-explained-195581

Tóth, C. (2014, July 29). Full text of Viktor Orbán's speech at Băile Tuşnad (Tusnádfürdő) of 26 July 2014. *The Budapest Beacon*. Retrieved June 21, 2023. https://budapestbeacon.com/full-text-of-viktor-orbans-speech-at-baile-tusnad-tusnadfurdo-of-26-july-2014/

Urcosta, R., B. (2018, April 25). Ukraine Restoring Military Base Near Hungarian Border. *Eurasia Daily Monitor.* Retrieved June 21, 2023. https://jamestown.org/program/ukraine-restoring-military-base-near-hungarian-border/

Végh, Z. (2016). Hungary: The EU's troublemaker. In J. Janning (Ed.), Keeping Europeans Together: Assessing The State Of Eu Cohesion (pp. 72–75). *European Council on Foreign Relations.* http://www.jstor.org/stable/resrep21671.17

Végh, Z. (2015). Hungary's "Eastern Opening" policy toward Russia: ties that bind? *International Issues & Slovak Foreign Policy Affairs*, *24*(1–2), 47–65. https://www.jstor.org/stable/26591857

Viktor Orbáns Interview in der Wochenzeitung „Mandiner". (2022, March 3). Viktor Orbáns Interview in Der Wochenzeitung „Mandiner". Retrieved June 21, 2023. https://abouthungary.hu/speeches-and-remarks/viktor-orbans-interview-in-der-wochenzeitung-mandiner

Viotti, P. R., Kauppi, M.V.(2012). *International relations theory.* (5th Ed). London: Pearson Education, Inc.

Walker, S. (2022, January 31). Hungarian PM Orbán to visit ally Putin in Moscow. *The Guardian*. Retrieved June 21, 2023. https://www.theguardian.com/world/2022/jan/31/viktor-orban-hungarian-pm-vladimir-putin-moscow-russia-visit